საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრთის გაფანა ყველა უკიდურესობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 13 თებერვალი. 2016 წ. №28 (7920), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ეს ნახეთ!

საქართველოს აქვს შესაძლებლობა, გახდეს ელექტროენერგიის ექსპორტიორი ③

როგორ აპირებს მთავრობა მართლმსაჯულების ხარვეზების გამოსწორებას? ⑨

ეს ზეთში ნაიკითხავთ, სხვანაირ ვერ ნახავთ!

რეკორდსმენები ხელფასით და ბოლოადგილოსნები...

აფსუს, მუშნი ზარანდიავ!

რა ქნას მაღალ-ჩინოსანმა, თუკი ხელფასს ვერა ჰყოფნის?!

რუბრიკა იმადღა დავტოვე დაუმთავრებელი, რომ მკითხველმა ბოლოს თავად განსაზღვროს, რა ეპითეტსა თუ თიკუნს იმსახურებენ ის ადამიანები და მათი მსგავსნი, ვისზეც ამ მასალაში ვისაუბრებთ.

რაც შეეხება სათაურს: ხომ გახსოვთ მუშნის სიტყვები — კაცი უნდა ეყოს ხელფასს და არა პირიქითო.

მაგრამ ეს, აუჰ, როდის იყო — ნიკოლოზის ეპოქაში, როდესაც ქართველები დამონებული ვიყავით!

იხ. 2 გვ.

როგორც სახელმწიფოს მმართველობის ფორმაა შესაცვლელი, ასევე შესაცვლელია ხელისუფლებისთვის ბრძოლის ფორმები



④

იყო დრო, როდესაც კომუნისტური „მორჩილებიდან“ სრულიად მოულოდნელი თავდაღწევით გახარებული და ნანატრ დამოუკიდებლობა-დემოკრატიის ოაზისში აღმოჩენილი (თურმე, ვირტუალურში!), ჩემი ლამაზი ქვეყნის მომავლის ოცნების კოშკებს ვაგებდი, მაგრამ დღეს, 25-წლიანი მეტად მტკივნეული გამოცდილების შემდეგ, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩვენნაირ ეკონომიკურად ჩამორჩენილ სახელმწიფოს, სადაც მხოლოდ ულარიბესი და უმდიდრესი ფენაა (ძალიან დიდი და ძალზე მცირე!), საშუალო ფენა კი, პრაქტიკულად, არ არსებობს, ერთპიროვნული მმართველობის გარეშე არაფერი ეშველება!

③

პაატა შეშელიძე:

როგორ შეიძლება გამოუმუშავებელი ფულის ხარჯვა?!

რა სნეულებით იტანჯებოდნენ ცნობილი ადამიანები ⑦

ნიკო მუსხელიშვილის მსოფლიო ღვაწლი ⑤

ყველა თვალსაზრისით უდრეკი, როველვაც დრეკადობის თეორია შესძინა საკაცობრიო მეცნიერებას

◎ დღის ამოჯანზურიდან

— თოფი, ჩემო ბატონო, მოგეხსენება, პირდაპირ კავშირშია თავდაცვასთან. ამიტომ მრეწველი თოფაძის გასროლა გენერალ ხიდაშელისკენ ბუნებრივი მგონია. თუ თავდაცვის მინისტრია, დაიცვას, გენაცვალე, ის მომზეთუნახავე თავი, რომლის დანახვაც აგრერიგად აღიზიანებს დეპუტატ თინიკოსგან მიტოვებულ საგარეჯოელებს...

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.474; ევრო - 2.797;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.574;
100 რუბლი - 3.116; თურქული ლირა - 0.844;
აზერბაიჯანული მანათი - 1.595;
1000 სომხური დრამი - 4.995

ამინდი 13 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -4,	დღე +14
მთიანი რაიონები -	ღამე -6,	დღე +12
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +6,	დღე +20
მთიანი რაიონები -	ღამე -3,	დღე +15
თბილისი:	ღამე 0,	დღე +12

ჩვენი მისამართია:

თბილისი, მაჩაბლის ქ. №7
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE

◎ რეკორდსმენები ხელფასით და გოლოადგილოსნები...

აფსუს, მუშნი ზარანდიავ!

რა ქნას მაღალჩინოსანმა, თუკი ხელფასს ვერა ჰყოფნის?!

(პირველი გვერდიდან)

დღეს კი, ამჟამინდელ დამოუკიდებელ, დემოკრატიის შუქურა, თავისუფალ, ზნეობრივად სრულქმნილ საქართველოში, სადაც ქვეყნის უმთავრესი სამოქმედო ორიენტირი მხოლოდ და სწორედ ილიასეული ცნობილი ტრიადაა და ყოველმხრივ გულმხურვალედ ქართული პარლამენტ-მთავრობის მოწოდებაძალისხმევით სულ უფრო ვუახლოვდებით ჭეშმარიტ იდეალებს (რაღა დაგვრჩა იქამდე? ერთადერთი ის, რომ რაც შეიძლება მალე „გავიზარდოთ“ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებამდე!), სულ სხვა ვითარებაა, სხვა გამოწვევები და რეალობაა, რასაც ჯეროვანი პასუხი უნდა.

დიდ ქარავანს, მოგეხსენებათ, დიდი ჭიშკარი სჭირდება, დიდ გასავალს – დიდი შემოსავალი.

ჰოდა, ამის გათვალისწინებით, რა ქნას ჩვენმა დღევანდელმა მაღალჩინოსანმა, თუკი ხელფასს ვერა ჰყოფნის და ნებივრად გაშოტილს საბანი კოჭებსაც ვერ უფარავს (არ დამიწყოთ ახლა, რა დროს ნებივრობა და უზრუნველობაა, როცა ხალხის დიდ ნაწილს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, შიაო! – **რ. რ.**)?

რა ქნას და, სწორედაც ის, რაც უკვე ქმნა: მუშნის დარად კი არ მოიკუნტა, რომ საბანი როგორმე გასწვდენოდა, არამედ რეზერვი, უფრო სწორად, ხაზინა ჩართო საქმეში – ამჟამინდელი რეალობის გათვალისწინებით უზარმაზარი ხელფასი დაინიშნა და ამით „მოთხოვნა-მოწოდებას“ (გასავალ-შემოსავალს) შორის წონასწორობა აღადგინა!

კონკრეტული მაგალითები გნებავთ? ინებეთ, ბატონებო!

თუმცა მანამდე ორი ტაეპი ერთი ცნობილი ნაწარმოებიდან: „რა დროს ლექსიაო, მოუკვდეს პატრონი, ხმლით შემოვარდნილა ერეკლე ბატონი“.

ამის ანალოგიით, – **რა დროს ხალხის გაჭირვება და მორალიაო, მოუკვდეს პატრონი, ხაზინას ეტაკა ირაკლი ბატონი!**

ირაკლი კოვზანაძეზე მოგახსენებთ, სააქციო საზოგადოება საპარტნიორო ფონდის ყოფილ ხელმძღვანელზე, რომელმაც თვეში 30 ათას ლარზე მეტი დაინიშნა და, **ინფორმაციის განვითარების თავისუფლების ინსტიტუტის მონაცემებით, 2014 წელს ხელფასად 336 ათასი ლარი მიიღო** (მისი „სამართალმემკვიდრე“ დავით საგანელიძე, გეხსომებათ, ამაყად ამბობდა, თვიური ხელფასი 20 ათასამდე შევიმცირეო(?!) – **რ. რ.**).

„იყავნ ნათელიო“, რომ ვისურვებთ ხოლმე ჩაბნელებულ ბინაში შესვლისას, ელექტროჩამრთველის ღილაკს თითს დავაჭერთ და „ილიჩის“ ნათურიდან გამობრდღვიალებული შუქი გაგვახალისებს, ეს განა თავისით ხდება! ეს ხომ თითქმის სასწაულია! ჰოდა, ამის უზრუნველმყოფი კაცი მართლაც მდიდრული (კვლავ დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, ვიმეორებ – **რ. რ.**) ხელფასით არ უნდა იყოს უზრუნველყოფილი?

არის კიდეც: ზემოაღნიშნული ინსტიტუტის მონაცემებით, ხელფასით რეკორდსმენ მაღალჩინოსნებს შორის **„ვერცხლის მედალოსანია“** სააქციო საზოგადოება სახელმწიფო ელექტროსისტემის ხელმძღვანელი (2014 წლის მონაცემებით) **სულხან ზუმბურიძე,** რომლის 2014 წლის ხელფასი 263374 ლარი იყო.

„ბრინჯაოს მედალოსანია“ კი სწორედ ის, ვინც ზუმბურიძის ნაწყალობევ სინათლეს – ელექტროენერგიას – ხალხს ახმარს, უკომფორტულესი სალოკომოტივო შემადგენლობებით ადამიანები გადაჰყავს და ტვირთის გადაზიდვით ხაზინას ამდიდრებს – საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელი **მამუკა ბახტაძე,** რომელმაც 2014 წელს **ხელფასად 248652, ანუ თვეში 20721 ლარი, უფრო ჩაძიებით კი 130 პენსიონერის მიერ მისაღები პენსიის ტოლფასი თანხა მიიღო!**

> **აფსუს, მუშნი ზარანდიავ!**
>
> **აფსუს, ისრაელის ქნესეთის წევრებო, ვინც თავის დროზე, მშობელი ქვეყნისა და ხალხის ეკონომიკური ძნელბედობის ჟამს, საკუთარი ნებით გაინახევრეთ ხელფასები სამშობლოს ინტერესების სასარგებლოდ!**
>
> **უფრო სწორად, ვაშა და ძეგბადიდება თძვენს ადამიანობასა და ჭეშმარიტად მოძალაძეობრივ პოზიციას.**

ბარემ კიდევ რამდენიმე „რეკორდსმენი“ ჩამოვთვალოთ. მაღალანაზღაურებად ჩინოვნიკებს შორის მოხვდნენ:

> **ბათუმის აეროპორტის ხელმძღვანელი – მერთ ძანდიელი – 141 110 ლარი;**
>
> **საქართველოს ფოსტის დირექტორი ლევან ჩიკვაიძე – 141 085 ლარი;**
>
> **ს/ს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ხელმძღვანელი ვახტანგ ამბოკაძე – 130 380 ლარი;**
>
> **ენერგოტრანსის დირექტორი კახა სეხნიაშვილი – 129 062 ლარი;**
>
> **საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის ხელმძღვანელი მამუკა კობახიძე – 124 000 ლარი;**
>
> **ს/ს ენერგეტიკის განვითარების ფონდის დირექტორი გიორგი გეჟუაშვილი – 109 432 ლარი;**
>
> **საჰაერო ნავიგაციის ხელმძღვანელი გოჩა მეზვრიშვილი – 98 348 ლარი;**
>
> **შპს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ხელმძღვანელი გიორგი შუხოშვილი – 81 773 ლარი;**
>
> **შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანების ხელმძღვანელი ძემთევან ალეძსიძე – 78 000 ლარი....**

როგორც აღვნიშნე, ეს შარშანდელი მონაცემებია, თანაც ნაწილობრივი – ყველა „რეკორდსმენს“ ერთი წერილი რას დაიტევს.

ამიტომაც, როგორც იტყვიან, გაგრძელება იქნება, რადგანაც მარტში 2015 წლის მონაცემები გამოქვეყნდება.

და ბოლოს: ჩემი აზრით, ეს ის შემთხვევაა, როდესაც კომენტარი მართლაც ზედმეტია!

ამიტომაც მკითხველს ვთხოვ, „შეავსოს“ წერილის რუბრიკის ბოლოს დასმული მრავალწერტილი და განსაზღვრონ: **ხელფასით რეკორდსმენები რაში არიან ბოლოადგილოსნები** – ზნეობაში, მორალში...

უჰ, ბოდიში, კარნახი როგორ შეიძლება!

თანაც რაში სჭირდება ჩემი კარნახ-წაშველება ამ უნამუსობის (ვაჰ, კიდევ კარნახი გამომდის!) **შემყურე ჩვენს მოსახლეობას?**

ერთსღა ვიტყვი: ყველა ზემოაღნიშნული პირი ხელმძღვანელობს იმ შეზღუდული პასუხისმგებლობისა თუ სააქციო საზოგადოებებს, **რომელთა აქციების ასი პროცენტით სახელმწიფოს საკუთრებაა.**

ამდენად, მათი ხელფასები სახელმწიფო ხაზინიდან გადის და არა რომელიმე კერძო ფირმის ანგარიშიდან!

ანუ ხალხის ხარჯზე ყელყელაობენ „რეკორდსმენები!“

ამ დროს სად არიან ხალხის მიერ არჩეული ის „რეფერები“, ამ „რეკორდების“ დამყარების მორალურ მხარესაც რომ უნდა აკვირდებოდნენ?

არ აკვირდებიან და, ხომ იცით, რასაც ეპატრონებიან ეშმაკები?

ნუ ათქმევინებთ ამას ხალხს ჩვენს ქვეყანაზე, ბატონებო!

რუსლან რუსია

◎ გაფიცვების ტალღა

რას ითხოვენ გაფიცულნი?

პროტესტის ახალი ტალღა მრეწველობაში

თებერვლიდან საქართველოს სამრეწველო სექტორში საპროტესტო აქციების ახალი ტალღა აგორდა. რამდენიმე დღეში ერთმანეთის მიყოლებით გაიფიცნენ ქსნის მინის ტარის, „რუსთავის ფოლადის“ და ზესტაფონის ფეროს თანამშრომლები.

მძიმე მრეწველობის კრიზისი საქართველოში მოქმედ კომპანიებზე მტკივნეულად აისახა. საერთაშორისო ბირჟებზე სხვადასხვა სახის ლითონზე ფასი, მოთხოვნის კლებასთან ერთად, მკვეთრად შემცირდა. ექსპერტები უახლოეს 2 წელიწადში მეტალურგიულ ბაზარზე ვითარების რადიკალურ ცვლილებას არ ელიან.

ჭიათურის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის შემდეგ მუშაობის სპეციალურ რეჟიმზე გადადის „რუსთავის ფოლადიც“. მეტალურგიული ქარხნის თანამშრომლების ნაწილი 1 თვით უხელფასო შვებულებაში გაუშვეს, რასაც მათი პროტესტი მოჰყვა.

რამდენიმესაათიანი აქციის შემდეგ, ადმინისტრაცია თანამშრომლებს საკრედიტო ვალდებულებების გადავადებაში დახმარებას და 10 მარტიდან სამსახურში აღდგენას დაჰპირდა.

„რუსთავის მეტალურგიული ქარხნის“ გენერალური დირექტორის მოადგილის არჩილ მელიქაძის განცხადებით, თანამშრომლები საწარმოში მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად დაბრუნდებიან.

„თუ მოთხოვნა არ გაიზარდა, სხვა ზომებს მივიღებთ, თუმცა მათი უმრავლესობა მუშაობას გააგრძელებს“, – აცხადებს მელიქაძე „ჯიბისისთან“ საუბრისას.

გაფიცულ თანამშრომლებს სოლიდარობა გამოუცხადეს ტრანსპორტის და მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის პროფკავშირებმა. ისინი კომპანიის გადაწყვეტილებას კანონდარღვევად აფასებენ. მათი თქმით, კომპანია პერიოდულად ატარებს რეორგანიზაციებს და 2015 წელს, 2 ეტაპად, დაუსაბუთებლად 710-ზე მეტი თანამშრომელი გაათავისუფლა.

რუსთავის ანალოგიური ვითარებაა ზესტაფონშიც, სადაც ფეროშენადნობთა ქარხნის ასამდე თანამშრომელმა გამაფრთხილებელი საპროტესტო აქცია გამართა. აქციის მონაწილეები სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და ხელფასების მატებას ითხოვენ.

როგორც ფეროშენადნობი ქარხნის თანამშრომლები აცხადებენ, საწარმოს ქართველი ხელმძღვანელები მათ მოთხოვნებს არ ითვალისწინებენ და საერთოდ კონტაქტზეც არ გამოდიან. ადმინისტრაცია მათ განაკვეთური სამუშაოებისთვის ხელფასს არ აძლევს, ამიტომ მძიმე პირობებში არიან.

აქციის მონაწილეები მსგავს გამაფრთხილებელ აქციებს პერმანენტულად ჩაატარებენ და მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, მუშაობას შეწყვეტენ.

5 თებერვალიდან მოყოლებული კი ქსნის მინის ტარის ქარხნის თანამშრომლები არიან გაფიცული. ისინი ხელფასის 30%-იან მატებას, კოლექტიური ხელშეკრულებების გაფორმებას და პროფკავშირისთვის საოფისე ფართის მოწყობას ითხოვენ.

მინის საწარმოს ენერგეტიკის განყოფილების თანამშრომლის თემურ სურამელაშვილის თქმით, საწარმო ამჟამად შეჩერებულია და თუ ადმინისტრაცია მათ მოთხოვნებს არ გაითვალისწინებს, მაშინ გაფიცვა პერმანენტულად გაგრძელდება. მინის წარმოება არის სპეციფიკური, საწარმოს მუშებს მაღალი ტემპერატურის პირობებში უწევთ მუშაობა. ღუმელებთან 1400 გრადუსზე მეტი ტემპერატურაა.

„იმ პირობებში, რა პირობებშიც ხალხი მუშაობს და რა სამუშაოსაც ასრულებენ, ვითხოვთ, რომ ხელფასები გაიზარდოს 30%-ით“, – განაცხადა სურამელაშვილმა.

ქსნის მინის ქარხნის მენეჯერი მარიამ ზუბაშვილი ამბობს, რომ ისინი დიალოგისთვის მზად არიან სამივე საკითხთან დაკავშირებით და დასაქმებულებს ხელფასების ზრდის გონივრული სქემა შესთავაზეს.

ჯერჯერობით ქსანშიც, რუსთავშიც და ზესტაფონშიც საპროტესტო მუხტი მაღალი რჩება.

გეძა დანელია

როგორ შეიძლება გამოუმუშავებელი ფულის ხარჯვა?!

ეკონომიკის პრობლემებზე გვესაუბრება ექსპერტი **პაატა შეშელიძე.**

— როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, ახალი გუნდის ეკონომიკური პროგრამის მიმართ საკმაოდ კრიტიკული იყავით — ზედმეტად სოციალურად ორიენტირებულად მიიჩნევდით. ახალი საპარლამენტო არჩევნები უკვე კარს მოგვადგა, ეკონომიკური მდგომარეობა კი არცთუ სახარბიელოა, იყო არსებითი შეცდომები, არასწორი ეკონომიკური კურსი თუ საქართველო განწირულია, რომ წარმატებული ეკონომიკა არ ჰქოდეს? — ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ 25 წელია ქვეყანაში არაფერი იცვლება...

— რა თქმა უდა, ყველაფერი დამოკიდებულია ეკონომიკურ პოლიტიკაზე. რაც შეეხება იმას, ეკონომიკაში იცვლება თუ არა რამე, დააკვირდით, რა იყო მაღაზიებსა და რესტორნებში 25 წლის წინათ და რა არის ახლა, მაშინ როგორ იცვამდა ხალხი, ან რითი მგზავრობდა და ა.შ. ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ კიდევ უფრო კარგად იქნებოდა საქმე, რომ ყოფილიყო განსხვავებული მიდგომები და ადამიანებს საშუალება ჰქონდეთ, თავიანთი ბედი თავად განაგონ და არა ვიღაცის დაპირებებით და იმედით.

ეკონომიკური ზრდის ტემპი საქართველოში იყო განსხვავებული, იყო 9,10, 11-პროცენტანი ზრდაც, მაგრამ ბოლო წლებში ეს ციფრი შემცირებულია. უფრო კარგი შედეგი იქნებოდა, რომ არა ის პოლიტიკა, რაც არის.

ძალიან მარტივი ასახსნელია — არის პოლიტიკა, როდესაც თვლიან, რომ გაზრდილი სოციალური ვალდებულებები, ზედმეტი ჩარევა ეკონომიკაში, შეზღუდვები და ა.შ. არის კარგი.

მსგავსი დაპირებები იყო წინა არჩევნების დროს და ვთვლიდი, რომ ამგვარი მიდგომებით დათქმულ დროში იმ ეფექტის მიღწევა, რასაც გვპირდებოდნენ, ძალიან რთული იქნებოდა და, პრინციპში, ასეც მოხდა.

იმ შენიშვნების გარდა, რაც იმ პერიოდში მე და ჩემს კოლეგებს გვქონდა, შექმნილ სიტუაციას დაემატა არასწორი მონეტარული პოლიტიკა, რაც მომაკვდინებელი აღმოჩნდა ძალიან ბევრი ადამიანისთვის. არასწორია, როდესაც ორი კაცის გამდიდრებას ეწირება ძალიან ბევრი ადამიანი. რაც მთავარია, მონეტარული პოლიტიკა თავიდან ბოლომდე უნისონში იყო მთავრობის ინტერესებთან, მისი ინტერესების მხარდამჭერი იყო - მთავრობას სურდა, ყოველთვის ჰქონოდა სესხის აღების საშუალება, როდესაც ამისი საჭიროება ექნებოდა და ეროვნული ბანკი ამის საშუალებას მუდმივად აძლევდა.

ამბობენ, რომ მათ შორის დაპირისპირებაა, რაც ხალხის მოტყუებაა, მეტი არაფერი. პრაქტიკულად, ეროვნულმა ბანკმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სახელმწიფოს ფისკალური ვალდებულებები შეესრულებინა და ყოველთვის მიეცა ფული, როდესაც სჭირდებოდა.

— თებერვლის ბოლოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეწურება უფლებამოსილების ვადა, ფიქრობთ, რომ არაფერი შეიცვლება?

— ერთი კაცი რამეს შეცვლის? ჩემი რჩევაა, მთლიანად შეიცვალოს მონეტარული პოლიტიკა — ყველაფერი შესაცვლელია და რატომღაც მხოლოდ ერთი კაცის შეცვლაზეა აქცენტი გადატანილი. ამიტომ ვფიქრობ, რომ ყველაფერი ისე დარჩება, როგორც არის, როგორც მთავრობას სჭირდება.

— ბოლოს და ბოლოს, საარჩევნო წელია და არავინ შეეცდება ხალხის ინტერესიც იყოს გათვალისწინებული?

— საარჩევნო წელს ფული არ სჭირდებათ? საზოგადოებრივი აზრი ვის აინტერესებს? მთავარია, ჰქონდეთ ფული, რომ ხალხს რაღაცას დაპირდნენ და მერე ეს შეასრულონ. საზოგადოების კეთილდღეობა ვინმეს ანაღვლებს?

დღეს მთავრობა ხარჯავს ორჯერ მეტს, ვიდრე უნდა ხარჯავდეს, ხარჯების მაქსიმალური შემცირება აუცილებელია იმისთვის, რომ გამოცოცხლდეს ეკონომიკა. ასევე აუცილებელია კერძო სექტორის წახალისება და, რაც მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანია, მონეტარული პოლიტიკის შეცვლა. ამ ძირითადი კომპონენტების გარეშე ნაკლებად მოსალოდნელია, ხალხმა იგრძნოს, რომ ქვეყნის ეკონომიკა სასიკეთოდ იცვლება.

საზოგადოებრივ აზრს რომ რაიმე ძალა ჰქონდეს, ხალხი ჯერ კიდევ მაშინ უნდა გამოსულიყო ქუჩაში, როდესაც პირველი სავალუტო პანიკა შეიქნა. თუ გახსოვთ, კაციშვილს ხმა არ ამოუღია...

— ხელისუფლებას აქვს არგუმენტი, რომ ჩვენმა მეზობელმა ქვეყნებმა, აზერბაიჯანმა, თურქეთმა, რუსეთმა სავალუტო რყევები ბევრად უფრო მძიმედ გადაიტანეს, ხოლო ჩვენ მეტ-ნაკლებად სტაბილურობა შევინარჩუნეთ...

— მათ კიდევ უარესი პოლიტიკა ჰქონდათ და იმიტომ. ან ჩვენი სტაბილურობა რაში გამოიხატება? ლარი გაუფასურებულია დაახლოებით 60% -ით, ეკონომკური ზრდა დაბალია და ა.შ.

— ანუ შეიძლებოდა უკეთესი მდგომარეობა გვქონოდა?

— ყველა იმ ქვეყანაში, სადაც სავალუტო კრიზისები მოხდა, მთავარი მიზეზი გახდა ნავთობზე ფასის შემცირება. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც ძირითადად, ნავთობპროდუქტების ექსპორტიორები არიან... ჩვენ ხომ არ ვცხოვრობთ ენერგოშემცველებით? — პირიქით, შანსი გაგვიჩნდა, იაფად ვიყიდოთ.

— როგორც ჩანს, სიტუაციის შესამსუბუქებლად ხელისუფლება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას იწყებს, თვლით, რომ ამით რამენაირად მოხდება ეკონომიკის სტიმულირება?

— როდესაც სახლში რემონტს იწყებთ, ამისთვის აუცილებელია გქონდეთ ფული საშენი მასალების შესაძენად და სხვა ხარჯებისთვის, ანუ ჯერ ეს ფული უნდა მოიპოვოთ. ეს მაგალითი გადავიტანოთ ქვეყანაზე — ქვეყანას ფული რომ ჰქონდეს, ის უნდა გამოიმუშავოს. როგორ შეიძლება დახარჯოს ფული, რომელიც არ გამოუმუშავებია? ეს მხოლოდ ზედმეტი ტვირთია. ანუ ეკონომიკას ინფრასტრუქტურული პროექტები კი არა, ის ფული ახალისებს, რომელსაც კერძო სექტორი გამოიმუშავებს.

— ეს უკეთეს შემთხვევაში, მაგრამ როდესაც მძიმე მდგომარეობაა, ამგვარი ჩარევა არაფერს შეცვლის?

— ყველა სხვა შემთხვევა თავის მოტყუებაა ან პოლიტიკა. რაც შეეხება ეკონომიკას, თუ არ გამოიმუშავე, ვერ დახარჯავ.

დღეს მთავრობა ხარჯავს ორჯერ მეტს, ვიდრე უნდა ხარჯავდეს, ხარჯების მაქსიმალური შემცირება აუცილებელია იმისთვის, რომ გამოცოცხლდეს ეკონომიკა. ასევე აუცილებელია კერძო სექტორის წახალისება და, რაც მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანია, მონეტარული პოლიტიკის შეცვლა. ამ ძირითადი კომპონენტების გარეშე ნაკლებად მოსალოდნელია, ხალხმა იგრძნოს, რომ ქვეყნის ეკონომიკა სასიკეთოდ იცვლება.

რაც შეეხება მონეტარული პოლიტიკის ცვლილებას, არსებობს რამდენიმე ვარიანტი, რომელიმეზე შეიძლება შეთანხმება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეროვნული ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს მონეტარული პოლიტიკის შემოქმედი.

ესაუბრა
მარიამ თოდაძე

◎ მოდის მატარებელი...

აბრეშუმის გზას გააცოცხლებს

ყველაფერს ვაკეთებთ, რომ სამუშაოები წლის ბოლომდე დავასრულოთ და იმედი მაქვს, წლის ბოლოს კავკასიაზე გაივლის მატარებელი, რომელიც გააცოცხლებს ისტორიულ აბრეშუმის გზას, — განუცხადა ჟურნალისტებს თურქეთის ტრანსპორტის, საზღვაო საქმეთა და კომუნიკაციების მინისტრმა ბინალი ილდირიმმა სასტუმრო „თბილისი მარიოტში“, სადაც ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტის საკოორდინაციო საბჭოს მეშვიდე სხდომა გაიმართა.

„ჩვენ აქ ჩამოვედით ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალთან დაკავშირებით, რომ განვიხილოთ, რა სტადიაზეა მშენებლობა. როგორ შეიძლება, რომ უფრო სწრაფად და ეფექტურად დასრულდეს ის. ასევე დასრულდეს არსებითი სამუშაოები. ვინაიდან საქართველოში ვარ, შევხვდი საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ასევე შევხვდი ჩემს კოლეგას. პრემიერთან ძალიან სასარგებლო და საინტერესო შეხვედრა მქონდა. ჩვენ განვიხილეთ ბევრი საკითხი ორმხრივი ურთიერთობებისა. აღვნიშნეთ, რომ საქართველოსა და თურქეთს შორის არაჩვეულებრივი ურთიერთობებია, თუმცა, შეგვიძლია, მეტი გავაკეთოთ. აპრილის დასაწყისში დაგეგმილია სტრატეგიული საბჭოს შეხვედრა, რომელშიც პრემიერი მიიღებს მონაწილეობას და ხელი მოეწერება ბევრ საინტერესო ხელშეკრულებას. რაც შეეხება დღევანდელ შეხვედრას, უნდა აღვნიშნო, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი — ეს არის ოცნება და მნიშვნელოვანი ყველასთვის. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ სამუშაოები წლის ბოლომდე დავასრულოთ და იმედი მაქვს, წლის ბოლოს კავკასიაზე გაივლის მატარებელი, რომელიც გააცოცხლებს ისტორიულ აბრეშუმის გზას,“ — განაცხადა თურქეთის ტრანსპორტის მინისტრმა.

ოკუპირებული აფხაზეთი საგიზო რეჟიმს აწესებს

იმ ქვეყნების მოქალაქეებისთვის, რომლებიც აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებენ ოკუპირებული აფხაზეთის 1 აპრილიდან საგიზო რეჟიმს აწესებს.

ამის შესახებ რუსულ მედიას ე.წ. პარლამენტის ვიცე-სპიკერმა განუცხადა. მისი თქმით, გამონაკლისი იქნება ის ქვეყნები, რომლებსაც აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმთან გაფორმებული აქვთ ორმხრივი უვიზო შეთანხმება. საგიზო რეჟიმი აფხაზეთის ტერიტორიაზე სამუშაოდ ჩასულებსაც შეეხებათ. შეგახსენებთ, აფხაზეთის დამოუკიდებლობას მხოლოდ რუსეთი, ნიკარაგუა, ვენესუელა, ნაურუ, ტუვალუ და ვანუატუ აღიარებენ.

◎ წინ უნდა ვიხედებოდეთ!..

საქართველოს აქვს შესაძლებლობა, გახდეს ელექტროენერგიის ექსპორტიორი

ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე ენერგეტიკის სფეროს პროექტების დაჩქარებაზე საუბრობს. „საქართველოს ენერგეტიკოსების“ მეორე გამოცემის პრეზენტაციაზე მან განაცხადა, რომ საქართველოს აქვს შესაძლებლობა, გახდეს ელექტროენერგიის ექსპორტიორი ქვეყანა.

მისივე თქმით, ბოლო 3 წლის განმავლობაში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა და სამომავლოდ, ასევე, მრავალი პროექტის განხორციელებაა დაგეგმილი.

„ეს ყველაფერი კეთდება ერთი მარტივი მიზეზის გამო, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოვახერხოთ და საქართველო გახდეს ელექტროენერგიის თვალსაზრისით დამოუკიდებელი ქვეყანა, რომ არ ვიყოთ დამოკიდებული როგორც დღეს ჩვენს მეზობელ ქვეყნებზე. ზამთრის პერიოდში, როცა ყველაზე მეტია ელექტროენერგიის მოხმარება, ჩვენ მისი მეზობელი ქვეყნებიდან შემოტანა გვიწევს. რაც მთავარია, ეს ყველაფერი აისახება თითოეული ჩვენგანის ჯიბეზე, რადგან მეტი ტარიფის გადახდა გვიწევს“, — განაცხადა კალაძემ.

როგორც ენერგეტიკის მინისტრმა აღნიშნა, ყველაფერი რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ საქართველოს ჰქონდეს შიდა მოხმარებისთვის საკმარისი ელექტროენერგია.

პრეზენტაციაზე საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა დაადასტურა აფხაზურ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ენგურჰესის წყალსაცავში გასულ წელთან შედარებით წყლის დონის კლების გამო, აფხაზეთს შესაძლოა, ელექტროენერგია ვეღარ მიეწოდოს. როგორც კალაძემ ჟურნალისტებს შესაბამისი ინფორმაციის კომენტირებისას განუცხადა, არსებული მარაგი დაახლოებით ორი კვირისაა, რის შემდეგაც არის საშიშროება, რომ აფხაზეთისთვის ელექტროენერგიის მიწოდება ვეღარ მოხერხდეს.

კახა კალაძის განცხადებით, საქართველოს აქვს შანსი, გახდეს ექსპორტიორი ქვეყანა და ელექტროენერგია თურქეთში და თურქეთის გავლით ევროპულ ქვეყნებში გაიტანოს.

„ენერგეტიკა რომ ქვეყნის მამოძრავებელი ძალაა, მისი განვითარების ხერხემალია, ამაზე, მგონი, ყველა ვთანხმდებით. ენერგეტიკის სფეროში დღეს მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება. ბოლო 3 წლის განმავლობაში ძალიან ბევრი პროექტი იქნა განხორციელებული და სამომავლოდ, უამრავი ინფრასტრუქტურული პროექტია დაგეგმილი. ეს ყველაფერი კეთდება ერთი მარტივი მიზეზის გამო — რაც შეიძლება მალე მოვახერხოთ და საქართველო, ენერგეტიკის თვალსაზრისით, დამოუკიდებელი ქვეყანა გავხადოთ. ჩვენ გვაქვს შანსი, ვიყოთ ექსპორტიორი ქვეყანა და მოვახერხოთ საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიის გატანა თურქეთში და თურქეთის გავლით ევროპაში“, — განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა.

ХО-ЭОВ-ЭЕО

დემოკრატია და სახელმწიფოს მართვა

ანუ როგორც სახელმწიფოს მმართველობის ფორმაა შესაცვლელი, ასევე შესაცვლელია ხელისუფლებისთვის ბრძოლის ფორმები

ᲐᲛ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ მცოდნეს, როგორ შეიძლება ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა არ დაგიდგეს თვალწინ, როცა, საგარეო ვალის 6-ჯერადი ზრდის და ჩვენ დასახმარებლად მოვლენილი მრჩევლების მიუხედავად, 25 წელიწადში ვერც სამართალი დავამყარეთ და ვერც სიღარიბეს დავაღწიეთ თავი! ან კი როგორ დავაღწევთ, როდესაც დამოუკიდებლად ვერაფერს ვწყვეტთ და მრჩევლებადაც „ეკონომიკური მკვლელები“ გვყავს მოჩენილი („ეკონომიკური მკვლელების“ თაობაზე იხ. თავად „ეკონომიკური მკვლელის“, ამერიკელი ჯონ პერკინსის მსოფლიოში გახმაურებული წიგნი „ეკონომიკური მკვლელის აღსარება“).

მეტად საინტერესოა ერთი ფაქტი — თუკი სადმე, რომელიმე სახელმწიფოში ხალხმა თავი დააღწია უკიდურეს სიღარიბეს, ეს მოხდა ავტორიტარული მმართველობის პირობებში. პირიქითაც შეიძლება ითქვას: ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიდუხჭირე განაპირობებს ერთპიროვნული მმართველის, დიქტატორის მოსვლას ხელისუფლების სათავეში! და კიდევ, **ცხოვრების დონის ამაღლებაზე გარედან არავითარი ინვესტიცია არ ახდენს ისეთ სწრაფ ეფექტს** (კორუმპირებული ხელისუფლების პირობებში კი, საერთოდ, არ ახდენს! ყველანი ვართ ამის მოწმე!), **როგორც თავად ეფექტური მმართველობა — ერთი თავდადებული, პატრიოტი ადამიანის მიერ ძალაუფლების ხელში აღება.** ამის დასტურად, დამატებით, 1933-1937 წლების **ჰიტლერის** გერმანია და 50-იანი წლების **ფრანკოს** ესპანეთი შეიძლება მოვიყვანოთ, როდესაც ორივე დიქტატორმა „ეკონომიკური სასწაული“ მოახდინა!

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ჩემი მთავარი სათქმელი შემდეგია: მნიშვნელობა არა აქვს, რას ვუწოდებთ საქართველოში ამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე არსებულ მდგომარეობას — საომარ სიტუაციას, კრიზისს, სტაგნაციას, განუკითხაობას, უპატრონობას თუ სხვა რამეს (ამ მხრივ, მართლაც არაფერი დაგვკლებია). ფაქტია, მიუხედავად ხელისუფლების მრავალჯერადი ცვლილებისა (სხვადასხვა გზით!) ფეხზე მაინც ვერ დავდექით და, ძალიან **დიდი ალბათობით, არც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაგვადგება საშველი!** არ გვეშველება, ვინაიდან არ იცვლება სახელმწიფოს მართვის სტილი და პრინციპები, და ეს არცაა გასაკვირი — ერთი ბუდიდან დაფრთიანებული, ფაქტიურად, ერთი და იგივე იდეოლოგიის და მრწამსის ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან ხელისუფლებაში, ქვეყნის კურსის, პოლიტიკის შეცვლას ფიქრადაც არ გაივლებენ გულში. სხვა პლატფორმაზე მდგომნი კი, მმართველი ძალის, საპარლამენტო ოპოზიციის და უცხოეთიდან უხვად დაფინანსებული არასამთავრობოების მიერ მოღალატეებად არიან შერაცხულნი, და ხელისუფლებისკენ მიმავალი ყველა გზა მათთვის, პრაქტიკულად, გადაკეტილია.

როდესაც ხელისუფლება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას ვერ (არ) ახერხებს თავისი უუნარობით, კორუფციის თუ სხვა მიზეზების გამო, თანაც, ხანგრძლივი დროის მანძილზე და, როცა შრომისუნარიანი ასაკის ხალხი ისევ უცხოეთში გასაქცევად არის გამზადებული, უკვე გადახვეწილ 2(!) მილიონს (იხ. P. S.) რომ შეუერთდეს, ასეთ დროს ნებისმიერი ნორმალური ადამიანი იტყვის, რომ **რახან ხელისუფლების სამჯერადმა ცვლამ შედეგი არ გამოიღო, ამიტომ, ძალიან დიდი ალბათობით, არც მეოთხე ცდით შეიცვლება რაიმე.**

რადგანაც არაფრით არ ხერხდება ნორმალური, სახელმწიფოს და ხალხის ინტერესებზე ორიენტირებული პრეზიდენტის, დეპუტატების, მინისტრების და მოსამართლეების შერჩევა, ამიტომ **მთელი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ერთი პატიოსანი, განათლებული და მამაცი ადამიანის გამოვლენისკენ, რომელსაც ხალხის სრული ნდობა და შესაბამისი უფლებებიც ექნება მინიჭებული.** ეს სათქმელად ადვილია, მაგრამ ასეთი რამ არჩევნების გზით მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი — თუ საპარლამენტო არჩევნებში ეროვნულ ფასეულობებზე ორიენტირებული პარტია სულ ცოტა ორი მესამედით გაიმარჯვებს! ეს კი, მომავალ 2016 წლის არჩევნებში გამორიცხულია! **სამწუხაროდ, ისევ დადგმული სპექტაკლის მონაწილენი, გნებავთ, შემყურენი გავხდებით, სცენარი ხომ კარგა ხნის წინ გავლენიანი სცენარისტების მიერ არის დაწერილი. მართალია, რეჟისორები ხშირ-ხშირად იცვლებიან, მაგრამ ყველას ისეთი პოლიტიკური სკოლა აქვს გავლილი, რომ სპექტაკლების წარუმატებლობა (ჩვენთან იქნება ეს, უკრაინაში თუ სხვაგან) გამორიცხულია!**

მაშ არ ყოფილა გამოსავალი და ესაა! **როგორც სახელმწიფოს მმართველობის ფორმაა შესაცვლელი, ასევე შესაცვლელია ხელისუფლებისთვის ბრძოლის ფორმებიც. სხვაგვარად, წარმატებაზე ოცნება ისეთივე აუხდენელი იქნება, როგორც „ქართული ოცნების“ დაპირებები!**

მმართველობის ფორმის შეცვლა სავსებით შესაძლებელია სახალხო რეფერენდუმით ისევე, როგორც ეს მოხდა სომხეთში ორიოდე თვის წინათ, როდესაც სომეხმა ხალხმა საპრეზიდენტო მმართველობას საპარლამენტო ამჯობინა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მოსახლეობა, ჩვენთანაც საპარლამენტო მმართველობას დაუჭერს მხარს და, არა — საპრეზიდენტოს და, მით უფრო, არ დაუჭერს მხარს ფართო უფლებებით აღჭურვილ პრეზიდენტს (სააკაშვილის აჩრდილი ჯერ კიდევ დაძრწის საქართველოში ნაცმოძრაობის სახით!), ანუ ერთპიროვნული მმართველობის ფორმას.

იყო დრო, როდესაც კომუნისტური „მორჩილებიდან“ სრულიად მოულოდნელი თავდაღწევით გახარებული და ნატო დამოუკიდებლობა-დემოკრატიის ოაზისში აღმოჩენილი (თურმე, ვირტუალურში!), ჩემი ლამაზი ქვეყნის მომავლის ოცნების კოშკებს ვაგებდი, მაგრამ დღეს, 25-წლიანი მეტად მტკივნეული გამოცდილების შემდეგ, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩვენნაირ ეკონომიკურად ჩამორჩენილ სახელმწიფოს, სადაც მხოლოდ უღარიბესი და უმდიდრესი ფენაა (ძალიან დიდი და ძალზე მცირე!), საშუალო ფენა კი, პრაქტიკულად, არ არსებობს, ერთპიროვნული მმართველობის გარეშე არაფერი ეშველება!

საპარლამენტო მმართველობაზე მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ, რაც დიდი უფლებების მქონე პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი (არა სააკაშვილისნაირი „დემოკრატი“, ცხადია!) ან, თუნდაც, „დიქტატორი“ (ლუკაშენკოსნაირი!) პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სამართლებრივად ფეხზე დააყენებს ქვეყანას. ამჟამინდელი სასამართლო სისტემის ძირფესვიანი გარდაქმნის გარეშე ყველა ძალისხმევა ფუჭი იქნება. დამნაშავე, მაგრამ მაინც ხელშეუხებელი, დამყაყებულ-გადაგვარებული სისტემის შეცვლა კი მხოლოდ დიდი უფლებებით აღჭურვილ მმართველს შეეძლება!

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲚᲔᲩᲐᲕᲐ.

5 თებერვალი, 2016.

P. S. ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ მიღების შემდეგ (და შედეგად!) დაწყებულმა გაუგონარმა ემიგრაციამ, რომელიც დღესაც გრძელდება, საქართველოს უამრავი შვილი დაკარგვინა (საუბედურო, ალბათ, სამუდამოდ!), ზოგი ერთ მილიონს ასახელებს, ზოგიც — ერთ-ნახევარს! არადა, სინამდვილეში ეს რიცხვი სულ ცოტა 2.0 მილიონია ან 2.8-ც კი! ეს კატასტროფული დანაკლისი ადვილად მტკიცდება 1989 და 2014 წლების საყოველთაო აღწერების შედარებით. 1989 წლის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა 5.5 მილიონამდე იყო, ხოლო 2014 წელს — 3.7 მილიონი. ეს უკვე 1.8 მილიონია, რასაც დაკარგული ბუნებრივი მატებაც უნდა დაემატოს (1990 წელს 42 ათასი, 25 წელიწადში — ერთ მილიონზე მეტი) და ჯამში გამოგვივა 2.8 მილიონი! 2.0 მილიონს, ანუ მინიმალურ რაოდენობას კი იმ შემთხვევაში მივიღებთ, თუ 5-ჯერ(!) ნაკლებ ბუნებრივ მატებას ვიანგარიშებთ, ანუ დაახლ. 8 ათასს (200 ათასს 25 წელიწადში)!

ასე რომ, საბჭოთა კავშირის პირობებში(!) ცხოვრების შემთხვევაში საქართველოს მოსახლეობა დღეს არა 3.7 მილიონი იქნებოდა, არამედ — 6.5 მილიონი (5.5 + 1.0), ანუ 75 %-ით მეტი!

Ი. ლ.

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. № 26-27

◎ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲡ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲔᲑᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲜᲔᲜ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲨᲘ ნატოს სამხედრო ხომალდების საზეიმო დახვედრის ღონისძიება გაიმართა. ოთხი ქვეყნის ეკიპაჟის წევრებს ნავსადგურში აჭარის მთავრობის თავმჯდომარე, ბათუმის მერი და საქართველოს სანაპირო დაცვის წარმომადგენლები დახვდნენ. დახვედრის ღონისძიებაზე აჭარის ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრებმა ქართული ტრადიციული ცეკვები შეასრულეს.

როგორც არჩილ ხაბაძემ განაცხადა, ნატოს ხომალდების საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შემოსვლა ხაზს უსვამს ალიანსსა და საქართველოს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებას.

ალიანსის წევრი ქვეყნის თურქეთის ფლოტის კაპიტნის რამაზან კეზგინის თქმით, საქართველოს სტუმრობს ესპანეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და თურქეთის სამხედრო ხომალდები. კაპიტანმა საქართველოს მთავრობის წევრებს თბილი დახვედრისთვის მადლობა გადაუხადა.

ნატოს ხომალდები ბათუმის ნავსადგურში 15 თებერვლამდე დაჰყოფენ. დღეს კი ბათუმში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვა ნატოს გაერთიანებული საზღვაო ძალების სარდლობის შტაბის უფროსი კონტრ-ადმირალი ჯორჯო ლაციო, რომელიც შს მინისტრ გიორგი მღებრიშვილს შეხვდება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲗᲐ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲣᲚᲘ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ **და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ საზოგადოებას 2015 წლის ანგარიში გააცნო. გასული წლის სტატისტიკური მონაცემები, შესრულებული პროექტები, საქართველოს ტურიზმის სტრატეგია, მარკეტინგული კამპანიები, საერთაშორისო ტურისტული გამოფენები, გაცნობითი ტურები, პუბლიკაციები, სხვადასხვა ღონისძიებები და დაგეგმილი პროექტები 42-გვერდიან ბროშურაშია მიმოხილული.**

როგორც გიორგი ჩოგოვაძემ აღნიშნა, 2015 წელს საქართველოში საერთაშორისო მოგზაურთა უპრეცედენტოდ რეკორდული რაოდენობა დაფიქსირდა — ქვეყანას 5,897,685 ვიზიტიორი სტუმრობდა. 2015 წელს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ 400-მდე საერთაშორისო მედიის წარმომადგენელს და 150-მდე ტუროპერატორს უმასპინძლა. აღსანიშნავია, რომ ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით დაბა გუდაურსა და ბაკურიანში შეიქმნა ველოპარკები, ხოლო ტურიზმის ინდუსტრიის 1100 წარმომადგენელმა საქართველოს 15 ქალაქში გადამზადების კურსები გაიარა.

2016 წელს საქართველოში გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ეგიდით ღვინის ტურიზმის პირველ საერთაშორისო კონფერენცია იგეგმება. წელს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 20-მდე მიზნობრივ ქვეყანაში მარკეტინგულ კამპანიას ჩაატარებს. ადმინისტრაცია მონაწილეობას გეგმავს 21 საერთაშორისო გამოფენაში, გაგრძელდება პროექტი „გაიცანი საქართველო.“.

ᲧᲘ-ᲔᲘᲒ-ᲔᲜᲘ, ᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

მსოფლიო ღვაწლი,

ანუ ყველა თვალსაზრისით უდრეკი, რომელმაც დრეკადობის თეორია შესძინა საკაცობრიო მეცნიერებას

აკადემიკოს ნიკოლოზ (ნიკო) მუსხელიშვილის დაბადების 125 წლისთავისათვის

მიმდინარე წლის 16 თებერვალს შესრულდება 125 წელი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და მისი პირველი პრეზიდენტის ნიკოლოზ (ნიკო) მუსხელიშვილის დაბადებიდან. განუზომელია მისი დამსახურება საქართველოში მეცნიერების განვითარებისა და ორგანიზაციის საქმეში. უზადო ნიჭითა და შრომის განსაკუთრებული უნარით მან საპატიო ადგილი დაიმკვიდრა გამოჩენილ მეცნიერთა შორის მსოფლიო მასშტაბით.

ნიკო მუსხელიშვილი დაიბადა თბილისში. მამა სამხედრო ინჟინერი იყო, დედა — დარია საგინაშვილი — პედაგოგი. 1909 წელს დაასრულა თბილისის კლასიკური გიმნაზია, 1914 წელს კი წარმატებით დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და დატოვებულ იქნა იქვე, მექანიკის კათედრაზე საპროფესოროდ მოსამზადებლად. აქედან იწყება ნ. მუსხელიშვილის ბრწყინვალე სამეცნიერო მოღვაწეობა, იგი აქვეყნებს დრეკადობის ბრტყელი თეორიის მრავალნაირი სასაზღვრო ამოცანებისა და მათემატიკური ფიზიკის სხვა პრობლემებისადმი მიძღვნილ ნაშრომთა სერიას. პეტერბურგში ყოფნის დროს, ინტენსიურ სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად, ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას, კითხულობდა უმაღლესი მათემატიკისა და მექანიკის კურსებს უნივერსიტეტსა და სხვადასხვა ტექნიკურ სასწავლებელში.

1920 წელს ნიკო მუსხელიშვილი დაბრუნდა თბილისში და ამ დროიდან მისი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა დაკავშირებულია საქართველოსთან. იმავე წელს იგი მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც შეუერთდა მათემატიკოსთა ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ ანდრია რაზმაძე, არჩილ ხარაძე და გიორგი ნიკოლაძე. აღნიშნულმა ჯგუფმა თავიდანვე უზრუნველყო სამეცნიერო კვლევების განვითარება მათემატიკისა და მექანიკის ძირითად დარგებში და აგრეთვე სალექციო კურსების მაღალ დონეზე სწავლება.

უნივერსიტეტის ამ ფაკულტეტზე აღიზარდა მომავალში გამოჩენილი მათემატიკოსებისა და პედაგოგების მთელი პლეადა. აღნიშნულმა ოთხეულმა განუზომელი ამაგი დასდო საქართველოში უმაღლესი მათემატიკური განათლებისა და ამ დარგში კვლევების საფუძვლების ჩაყრას.

ნიკო მუსხელიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით და მის სამეცნიერო ნაშრომებზე აღიზარდა საქართველოში მეცნიერთა თაობები და ჩამოყალიბდა მსოფლიოში ცნობილი თბილისის მათემატიკური სკოლა. თუ ამ სკოლის პრობლემატიკა თავდაპირველად დაკავშირებული იყო ძირითადად დრეკადობის თეორიის ამოცანებთან, შემდგომში იგი მნიშვნელოვნად გაფართოვდა და სრულიად ახალი მიმართულებებით დიდი წარმატებით წარიმართა.

ნიკო მუსხელიშვილმა კომპლექსური ანალიზის ფუნქციების თვისებებზე დაყრდნობით მოგვცა დრეკადობის თეორიის მრავალი ისეთი სასაზღვრო ამოცანის ამოხსნა, რომელიც მანამდე არსებული მეთოდებისათვის სრულიად მიუწვდომლად ითვლებიოდა. ნ. მუსხელიშვილის მიერ განვითარებული მეთოდების დიდ ღირსებას წარმოადგენს ის, რომ მათი შემწეობით ხერხდება არა მარტო პრობლემების თეორიული ამოხსნა, არამედ რიცხვითი შედეგების მიღებაც. სწორედ ამით აიხსნება, რომ ამ მეთოდებმა სწრაფად მოიკიდა ფეხი საინჟინრო პრაქტიკაში.

ნიკო მუსხელიშვილის კალამს ეკუთვნის 80-ზე მეტი სამეცნიერო გამოკვლევა, მისმა ნაშრომებმა დიდი გავლენა იქონია დრეკადობის თეორიის, მათემატიკური ფიზიკის, დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა შემდგომ განვითარებაზე. ჯერ კიდევ 1922 წელს ნ. მუსხელიშვილმა გამოაქვეყნა მემუარი „კოშის ტიპის ინტეგრალების გამოყენება მათემატიკური ფიზიკის ზოგიერთი ამოცანისათვის“, სადაც ჩამოაყალიბა კომპლექსური ცვლადის თეორიის სასაზღვრო ამოცანები, რომლებზედაც მიიყვანება დრეკადობის ბრტყელი თეორიის ამოცანები, და მოგვცა მათი ეფექტური ამოხსნის მეთოდები. ამავე მემუარში მან ნათელი გახადა ის შესაძლებლობები, რაც გააჩნია კომპლექსური ცვლადის თეორიის აპარატს ელიფსური ტიპის კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებათა სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის საკითხებში.

ნ. მუსხელიშვილმა ააგო ანალიზური ფუნქციების ე.წ. უბან-უბან უწყვეტი კოეფიციენტებიანი სასაზღვრო ამოცანის ამოხსნის ელეგანტური თეორია და ეს თეორია გამოიყენა დრეკადობის ბრტყელი თეორიის ამოცანების ეფექტურად ამოსახსნელად. მისი ფუნდამენტური მონოგრაფიები „სინგულარული ინტეგრალური განტოლებები“ და „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“ მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურის ოქროს ფონდშია შესული. ეს მონოგრაფიები წარმოადგენენ მათემატიკასა და მექანიკაში მკვლევართა სამაგიდო წიგნებს, აღნიშნული მონოგრაფიები არაერთხელ თარგმნილა ინგლისურ, გერმანულ და სხვა ენებზე. თარგმანების გამოქვეყნებას მეცნიერთა წრეებში აღფრთოვანებით შეხვდნენ. ცნობილი ინგლისელი მექანიკოსი რ. ჰილი თავის რეცენზიაში, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში „Nature“ სათაურით „ეტაპი დრეკადობის თეორიაში“, წერდა: „თარგმანის გამოჩენა, რომელიც ყოველმხრივ ჩინებულია, პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს. რა ბრწყინვალედ არის გაშუქებული თვით დეტალებიც კი.“ აშშ ყოველთვიური ორგანო „გამოყენებითი მექანიკის მიმოხილვა“ ნ. მუსხელიშვილის წიგნის თარგმანზე წერდა: „რა თქმა უნდა, ამ ნაშრომის შინაარსი ბრწყინვალეა. . . მეორე ესოდენ დიდი მნიშვნელობისა და ფართო მასშტაბის წიგნის შექმნას ერთი თაობა მაინც დასჭირდება“.

დიდი ღვაწლი დასდო ნიკო მუსხელიშვილმა საორგანიზაციო და პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იგი ასრულებდა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობას, ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო თეორიული მექანიკის კათედრის გამგე, კითხულობდა სალექციო კურსებს თეორიულ მექანიკასა და დრეკადობის თეორიაში. იგი იმთავითვე აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, იყო ინსტიტუტის პრორექტორი, კითხულობდა ლექციებს. ამით ნ. მუსხელიშვილმა მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო საქართველოს და ამიერკავკასიის ინჟინერთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეს.

ნიკო მუსხელიშვილი სამშობლოში დაბრუნებისთანავე დიდ ყურადღებას აქცევდა ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის შექმნას და ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. 1944 წელს გამოცემული „მათემატიკური ტერმინოლოგიის“ წინასიტყვაობაში მისი რედაქტორი, პროფესორი ვუკოლ ბერიძე წერდა: „განსაკუთრებული დიდი ამაგი დასდო ტერმინოლოგიას აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა, რომელმაც თითოეული სიტყვა შეამოწმა და შეეცადა, რაც შეიძლება, სრული შესატყვისობა ყოფილიყო მათემატიკურ ცნებასა და მის მიერ გამოხატულ ტერმინს შორის“.

ნიკო მუსხელიშვილი 1933 წელს აირჩიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1939 წელს ამავე აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად), 1941 წელს — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და პრეზიდენტად. 1952 წელს ნ. მუსხელიშვილს ირჩევენ ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის, ხოლო 1967 წელს გერმანიის (ბერლინის) მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად. 1957 წლიდან 1976 წლამდე ნ. მუსხელიშვილი იყო სსრ კავშირის თეორიული და გამოყენებითი მექანიკის ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე. იგი ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის დელეგაციებს თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საერთაშორისო კონგრესებზე, ხელმძღვანელობდა საერთაშორისო კონგრესის (1972 წ., მოსკოვი) სამეცნიერო კომიტეტს. ნ. მუსხელიშვილის სამეცნიერო დამსახურება სათანადოდ იქნა დაფასებული და აღიარებული: 1969 წელს მას მიენიჭა ტურინის (იტალია) აკადემიის სამეცნიერო პრემია „მოდესტო პანეტი“, დაჯილდოვდა ოქროს მედლით. სხვათა შორის, იტალია იყო უცხოეთის პირველი ქვეყანა, სადაც საბჭოთა ეპოქის პირობებში დაიბეჭდა მისი ნაშრომი დიდი იტალიელი მათემატიკოსის ვიტო ვოლტერას წარდგინებით. 1973 წელს კი იგი დააჯილდოვეს სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედლით, აირჩიეს სომხეთისა და აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრად. 1972 წელს ნიკო მუსხელიშვილი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტად, იმავე წელს დაჯილდოვეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლომონოსოვის სახელობის ოქროს მედლით.

დიდია ნიკო მსუხელიშვილის როლი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ორგანიზაციისა და განვითარების საქმეში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ჩამოყალიბდა 1941 წელს — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ბაზაზე. ნ. მუსხელიშვილი იყო აკადემიის უცვლელი პრეზიდენტი 1972 წლამდე. ამ საპატიო პოსტზე მოღვაწეობით მან დიდი გავლენა იქონია საქართველოში მეცნიერების განვითარებაზე. ნ. მუსხელიშვილი, როგორც ფართო საზოგადოებრივი და სამეცნიერო ინტერესების მქონე ადამიანი, ხელს უწყობდა თანამედროვე მეცნიერების ყველა დარგის განვითარებას, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ფართოდ არის წარმოდგენილი როგორც ფიზიკა-მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების, ასევე ჰუმანიტარული მეცნიერების დარგები. ნიკო მუსხელიშვილი, როგორც თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი, განსაკუთრებული რუდუნებით იღვწოდა ენათმეცნიერების, ქართველოლოგიისა და საისტორიო მეცნიერების განვითარებისათვის.

ათეული წლების განმავლობაში, გარდაცვალებამდე, ნ. მუსხელიშვილი თავკაცობდა ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტს, რომლის დაარსებასა და განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის.

ნიკო მუსხელიშვილს ამშვენებდა განსაკუთრებული პიროვნული მომხიბლაობა, ჰუმანურობა, სამართლიანობა, მოკრძალება, უნიკალური იუმორის გრძნობა.

აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი გარდაიცვალა 1976 წლის 15 ივლისს. მადლიერმა ქართველმა ხალხმა მას სამუდამო განსასვენებელი მთაწმინდაზე დაუმკვიდრა. მისი სახელი ეწოდა გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტს, ქ. თბილისის 55-ე საშუალო სკოლას, ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს. თბილისში ილია ჭავჭავაძის გამზირზე აღმართულია აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის ძეგლი.

ნიშანდობლივია, რომ ნ. მუსხელიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა დღესაც წარმოადგენს ინტენსიური კვლევის წყაროს როგორც ჩვენში, ასევე ქვეყნის გარეთ.

ნიკო მუსხელიშვილის მოღვაწეობის ნათელი კვალი მუდამ წარუშლელი დარჩება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,

აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება.

◎ თანადგომა

თიბისი ბანკი ოპერის თეატრის პარტნიორია

თიბისი ბანკსა და საქართველოს სახელმწიფო ოპერის თეატრს შორის ურთიერთთანამშრომლობა მიზნად ისახავს საბალეტო ხელოვნების პოპულარიზაციას, ერთობლივი კულტურული და სოციალური პროექტების განხორციელებას.

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ განცხადება ოპერის თეატრში საქართველოს სახელმწიფო ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა დავით კინწურაშვილმა, საქართველოს სახელმწიფო ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნინო ანანიაშვილმა და თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მამუკა ხაზარაძემ ერთობლივ ბრიფინგზე გააკეთეს.

— თიბისი ბანკი, ტრადიციულად, არის კულტურის მხარდამჭერი საქართველოში. ჩვენთვის დიდი ბედნიერებაა ისეთ ვარსკვლავებთან თანამშრომლობა, როგორიც არის პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი და მრავალი საოპერო მომღერალი, რომლებმაც ამ თეატრში აიდგეს ფეხი. ჩვენ ვიქნებით ის გუნდი, რომელიც მათ მხარში დაუდგება და უამრავ ერთობლივ, საინტერესო პროექტს შევთავაზებთ საზოგადოებას, — განაცხადა თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მამუკა ხაზარაძემ.

◎ წერილი ქუთაისიდან

პროფესიული ღირსებით გამორჩეული

იუბილარი მინდია

რამაზ კუბლაშვილი 60 წლისაა

19 თებერვალს 18 საათზე ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის ოთარ თაქთაქიშვილის ოპერას „მინდიას“ წარმოადგენს.

ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელის“ მოტივებზე შექმნილი ეს ოპერა (ლიბრეტოს ავტორი — რევაზ თაბუკაშვილი) ქუთაისის ოპერის თეატრის სცენაზე 2011 წელს დაიდგა დირიჟორ პაპუნა ღვაბერიძის, რეჟისორ მაია გაჩეჩილაძის, მხატვარ თემურ არსენიძის, ქორეოგრაფ ვახტანგ უშვერიძის მიერ. ამჯერად ნაწარმოების შესრულებაში თეატრის მთავარი დირიჟორის რევაზ ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მონაწილეობას მიიღებენ: თეატრის სოლისტები — რამაზ კუბლაშვილი (მინდია), ნათია სტეფანიშვილი (მზია), ლაშა თითბერიძე (ჩალხია), კალისტრატე ხარჩილავა (ხევისბერი), ემილ ჩარგაზია (მაცნე), გუნდი (მთავარი ქორმაისტერი — ნათია გოგუაძე), ორკესტრი და ქორეოგრაფიული დასი.

როგორც აღინიშნა, მინდიას როლში აუდიტორია კვლავ შეხვდება თავის საყვარელ მომღერალს რამაზ კუბლაშვილს, რომლის დაბადებიდან 60 წლისთავს ეძღვნება აღნიშნული სპექტაკლი. დიდი სცენის დაპყრობა კი ოთხი ათეული წლის წინათ დაიწყო, როდესაც ცნობილი მომღერლის, საქართველოს სახალხო არტისტის ვაჟა კუბლაშვილის 21 წლის ვაჟის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მესამე კურსის სტუდენტის (დიმიტრი მჭედლიძის კლასი), ტენორ რამაზ კუბლაშვილის შთამბეჭდავი დებიუტი შედგა მალხაზის პარტიით ზაქარია ფალიაშვილის „დაისში“ კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში.

კონსერვატორიაში სწავლის დასრულების შემდეგ, 1979 წლიდან რამაზ კუბლაშვილის შემოქმედებითი კარიერა ქუთაისის ოპერის თეატრს დაუკავშირდა (აღსანიშნავია, რომ ქუთაისის ქართული ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლშიც მოღვაწეობდა ჯემალ ჭკუასელის ხელმძღვანელობით 6 წლის განმავლობაში; 1986-87 წლებში კი ზურაბ სოტკილავას ხელდასხმით სტაჟირება გაიარა მოსკოვის „დიდ თეატრში“). მომღერლის რეპერტუარშია მთავარი პარტიები ოპერებისა: ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ლატავრა“, დოლიძის „ქეთო და კოტე“, მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“, თაქთაქიშვილის „მინდია“, „პირველი სიყვარული“, ლაღიძის „ლელა“, ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღი“, თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი“, ბეთჰოვენის „ფიდელიო“, ვერდის „“ტრავიატა“, „რიგოლეტო“, მასკანის „სოფლის ღირსება“, პუჩინის „ჯანი სკიკი“, ბიზეს „მარგალიტის მაძიებელნი“, ჩაიკოვსკის „იოლანტა“, „ევგენი ონეგინი“, რახმანინოვის „ალეკო“ და ა.შ, რომელთაც მუდამ დიდი წარმატებით ასრულებს და რომლებმაც მსმენელთა დიდი სიყვარული და პატივისცემა მოუტანეს მომღერალს.



შემოქმედებითთან ერთად, პროფესორი რამაზ კუბლაშვილი აქტიურ, ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა ქუთაისის სამუსიკო კოლეჯში. მისი არაერთი აღზრდილი წარმატებით ემსახურება ქართულ მუსიკალურ კულტურას.

დახვეწილი პიროვნული ხიბლითა და თვალსაჩინო პროფესიული ღირსებით გამორჩეულ რამაზ კუბლაშვილს არაერთი საინტერესო შემოქმედებითი ჩანაფიქრი აქვს, რომელთა ასრულებას, მრავალ წარმატებას და დღეგრძელობას გულწრფელად ვუსურვებთ!

ზურაბ ოიკაშვილი.

◎ პრეზიდენტი წიგნად იქცა

„ეკლის გვირგვინი“ — როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი ზვიად გამსახურდიაზე

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით გამომცემლობამ „ჩვენი მწერლობა“ გამოსცა როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი-დილოგია „ეკლის გვირგვინი“ — ზვიად გამსახურდიას სახელმწიფოებრივ ღვაწლსა და ტრაგიკულ ბედზე. დილოგია იმიტომ, რომ წიგნში გაერთიანდა სხვადასხვა დროს დაწერილი ორი თხზულება: „თუ საწუთრომან დამამხოს (ზვიად გამსახურდიას ბედისწერა)“ და „ძველი ხიბულას საიდუმლოება (ზვიად გამსახურდიას ასი დღე)“.

„თუ საწუთრომან დამამხოს“ კარგა ხნის წინათ გამოქვეყნდა ჯერ გაზეთ „ახალი საქართველოს“ ფურცლებზე გაგრძელებებით და შემდეგ კი ცალკე წიგნადაც (1998 წელს), და იმთავითვე მოექცა უაღრესად მწვავე გამოხმაურებების შუაგულში, რადგანაც ქვეყნის სათავეში იყვნენ ის ადამიანები, რომელნიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ზვიად გამსახურდიას მთავრობის დამხობასა და სიკვდილის პირამდე მის მიყვანაში.

ცხარე პოლემიკამ, რადგანაც ავტორი სულაც არ აპირებდა რაიმე დაეთმო არალიტერატურული მიზნებით შემართული ოპონენტებისათვის, საბოლოოდ მაინც სასიკეთო შედეგი გამოიღო — დააჩქარა ზვიად გამსახურდიას სახელის ოფიციალური რეაბილიტაცია თვით ედუარდ შევარდნაძის, საქართველოს მეორე პრეზიდენტის მიერ.

თუმცა კვლავაც ძალაში დარჩა საქართველოს პირველი პრეზიდენტის თვითმკვლელობის ვერსია.

ამ ვერსიას საყრდენები გამოაცალა საპარლამენტო კომისიის (ხელმძღვანელი კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი) საბოლოო დასკვნამ (2010 წელს), ცალკე წიგნადაც რომ გამოიცა, მაგრამ აუცილებელი იყო, შექმნილიყო ამ დასკვნის ბელეტრისტული ვერსიაც, რადგანაც დასკვნის ავტორები შეზღუდულნი იყვნენ, დაბეჯითებით ემტკიცებინათ ის, რაც თავისთავად ადვილად ცნაურდებოდა მათი კვლევა-ძიების წყალობით, უამრავი მოწმე რომ დაკითხეს: პირწმინდად გამოირიცხებოდა თვითმკვლელობის ვერსია.

სამაგიეროდ, როსტომ ჩხეიძე იყო შეუზღუდავი ბელეტრისტული ყაიდის ნაწარმოების შექმნისას ეს ყოველივე ახდილად გაეცხადებინა და მისი თხზულების საჟურნალო ვარიანტის შემდეგ მართლაც უკვე სრულ ანაქრონიზმად იქცა დამკვიდრებული ვერსია, თითქოს ზვიად გამსახურდიას თავი მოეკლას.

„ეკლის გვირგვინისათვის“ დართულ მინაწერში კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი აღნიშნავს:

„ახალი წიგნი ავტორის მიერ წარმატებით მომარჯვებული ბიოგრაფიული რომანის ჟანრში კარგად ჯდება და უმძიმესი სინამდვილის საკმაოდ კომპლექსურ სურათს აღადგენს“.

„მედიანიუსთან“ საუბრისას როსტომ ჩხეიძემ განაცხადა, რომ: „ამ გამოცემისთვის საგრძნობლად შეივსო „თუ საწუთრომან დამამხოს“ და გარკვეულად შეივსო „ძველი ხიბულას საიდუმლოების“ საჟურნალო ვარიანტიც. რაც მთავარია, მათი გადაბმა ბუნებრივად მოხდა, რადგანაც გაძლიერდა შინაგანი მთლიანობა და კომპოზიციური სრულყოფილება. მთავარი კი ის არის, რომ აუცილებელი იყო ზვიად გამსახურდიას სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-კულტურტრეგერული ღვაწლის პირუთვნელი შეფასება ეპიკური თხზულების ფურცლებზე, რათა, რაც შეიძლება სრულყოფილად წარმოჩენილიყო მისი ჰეროიკული ღვაწლიც და ტრაგიკული პიროვნებაც“.

ამასთან, დასძინა მწერალმა, რომ „ეკლის გვირგვინი“ არის მე-18 ნიმუში მისი ბიოგრაფიული რომანების ციკლში, ამჟამად კი წერს მე-19 რომანს. და თუ ვისზე, რამდენიმე თვეში ყველასთვის გახდება ნათელი.

„მედიანიუსი“

◎ მეცნიერება

როგორ მუშაობს სამყარო?

სტივენ ჰოკინგი მეცნიერებს გრავიტაციული ტალღების აღმოჩენას ულოცავს და სხვა მრავალ აღმოჩენას წინასწარმეტყველებს



ბრიტანელი ფიზიკოსი სტივენ ჰოკინგი მეცნიერთა ჯგუფს გრავიტაციული ტალღების აღმოჩენას ულოცავს; აღმოჩენას, რომლითაც პირდაპირ დადასტურდა აინშტაინის ერთ-ერთი ყველაზე თამამი წინასწარმეტყველება.

გრავიტაციული ტალღები ლაზერ-ინტერფერომეტრ გრავიტაციული ტალღების ობსერვატორიის მეცნიერთა ჯგუფმა აღმოაჩინა. ეს ტალღები სამყაროში ჭავლურად მოძრაობს და კოსმოსურ დრო-სივრცეს არხევს.

ფიზიკოსთა საერთაშორისო ჯგუფმა დედამიწიდან მილიარდზე მეტი სინათლის წლით მდებარე ორი შავი ხვრელის შერწყმის შედეგად წარმოქმნილი გრავიტაციული ტალღები დაიჭირა.

სტივენ ჰოკინგმა მილოცვა Facebook-ზე გამოაქვეყნა.

„ვულოცავ LIGO-ს ჯგუფს გრავიტაციული ტალღების აღმოჩენას. საქმე გვაქვს მინიმუნ ზუსტად ისეთივე მნიშვნელობის აღმოჩენასთან, როგორიც ჰიგსის ბოზონის აღმოჩენა იყო. ეს ამ ტალღების პირველი გამოვლინებაა და ისინი ორი შავი ხვრელის შეჯახებისა და შერწყმის შედეგად წარმოიქმნა. უკვე ამის შემდეგ, ჩვენ უფრო მეტ აღმოჩენას უნდა ველოდოთ, რაც კიდევ მეტად გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მუშაობს სამყარო.

აღნიშნული ექსპერიმენტული დაკვირვება სრულ თანხმობაში მოდის შავ ხვრელებთან დაკავშირებით 1970-იან წლებში ჩემ მიერ ჩატარებულ თეორიულ კვლევებთან. მთელი სიცოცხლე შევალიე, რათა რაღაც წვლილი მაინც შემეტანა სამყაროს ჩვენეულ გაგებაში. ამაღელვებელია იმის ხილვა, თუ როგორ ხდება ის, რაც მე 40 წლის წინ ვიწინასწარმეტყველე, რომ მაგალითად, შავი ხვრელების არეების განსაზღვრა და სხვა უნიკალური თეორემების დამტკიცება ჩემს სიცოცხლეშივე მოხდებოდა“, — წერს ჰოკინგი.

გრავიტაციული ტალღების არსებობა 100 წლის წინათ ალბერტ აინშტაინმა ფარდობითობის თეორიაში იწინასწარმეტყველა, თუმცა, მისი აღმოჩენა დღემდე ვერ ხერხდებოდა.

მეცნიერებმა გრავიტაციული ტალღების დაჭერა უკვე შერაცხეს საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს აღმოჩენად.

გრავიტაციული ტალღების შესწავლა მეცნიერებს საშუალებას მისცემს მეტი შეიტყონ სამყაროს ადრეული პერიოდის შესახებ და ასევე, გაუადვილებს შეისწავლონ სამყაროს ჯერ კიდევ დამალული ადგილები.

The Independent

მოამზადა

თეონა რამაზაშვილმა

◎ იცით თუ არა, რომ...

- **1766 წელს პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში გამოქვეყნდა ორი ბროშურა ერეკლე მეორის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.**

- **ერეკლე მეორეს ქება-დიდება შეასხა გამოჩენილმა გერმანელმა მწერალმა ლესინგმა პიესაში „მინა ფონ ბარნჰელმი“, ანუ „ჯარისკაცის ბედნიერება.“**
- **ერეკლე მეორემ სცადა სახელმწიფო მმართველობა ცალკეული უწყებების მისედვით დაენაწილებინა: „საგარეო საქმეთა“, „სახელმწიფო შემოსავლისა და „სამხედრო საქმეთა“ დარგებად.**
- **კომუნისტური მთავრობის შიშით წმიდა ექვთიმე აღმსარებელმა (ესტატე კერესელიძე) ერთი ურემი ხელნაწერები, 5532 ძველი ქართული საგალობელი, ქუთაისიდან მცხეთაში მარტოდმარტომ გადაიტანა და სვეტიცხოვლის ტაძარში გადამალა.**
- **1918 წელს წმიდა ექვთიმე აღმსარებელმა (ესტატე კერესელიძე) პირველმა დასტამბა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.**

რა სნეულებით იტანჯებოდნენ ცნობილი ადამიანები

ჯეინ ოსტინი

პასტორ ჯორჯ ოსტინის ოჯახში ქალიშვილ ჯეინის გარდა კიდევ შვიდი ბავშვი იყო, და ყველა მათგანმა იცოცხლა ხანდაზმულ ასაკამდე — წარმოუდგენელი ფაქტია იმდროინდელი ინგლისისათვის, როდესაც ბავშვთა სიკვდილიანობა 50-60 პროცენტს აღწევდა.

ამბულატორიული ავადმყოფის სამედიცინო ბარათი

გვარი, სახელი, მამის სახელი: ოსტინი ჯეინი

დიაგნოზი: ადისონის დაავადება

საქმიანობა: მწერალი

დაბადების თარიღი: 1775 წელი

გარდაცვალების თარიღი: 1817 წელი

მიაჩნიათ, რომ მთელი საქმე დედის რწმენაში იყო, რომელიც ყოველ თავის შვილს აწოვებდა ძუძუს 2-3 თვემდე, რის შემდეგაც აგზავნიდა უახლოეს სოფელში გლეხის ოჯახში. უხდიდა მას ღირსეული მოვლისათვის, უკან კი მიჰყავდა უკვე წამოზრდილი.

პირველი ზარი

ბავშვობიდან ჯეინი, თითქოს, არასოდეს ყოფილა ავად. მხოლოდ ერთხელ, 1816 წლის წერილებში ლაკონურად მოიხსენია დაავადებული ზურგი. ეტყობა, ცუდმა თვითგანწყობილებამ დაიწყო მისი შეწუხება სამი წლით ადრე მანამდე, მაგრამ მას არ სურდა შეეშფოთებინა მახლობლები.

თავდაპირველად ჯეიმსი ყველაფერს ასაკს აბრალებდა — 40 წელი, მაშინდელი გაგებით, იყო ერთობ პატივსაცემი ასაკი, ძალების დაკარგვა, დეპრესია, ძლიერი ტკივილები მუხლის სახსრებში ჩვეულებრივ თანამგზავრებად იქცა. თითქოს ეშინოდაო,რომ ვერ მოასწრებს რომანის „გონების დასკვნების“ დამთავრებას, მთელ თავისუფალ დროს სამუშაოს უთმობდა. მოგვიანებით ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ მისი წერის სტილი ცხოვრების უკანასკნელ წლებში ძალიან შეიცვალა.

ადგილობრივი ექიმი ლიფორდი სერიოზულად მოეკიდა მის ჯეინის საჩივრებს და ურჩია მკურნალობა წყლებზე. ჯეინი თავის და კასანდრასთან ერთად გაემგზავრა იმ დროს მოდურ ადგილობრივ კურორტ ჩელტნემში. კურორტზე დილიდანვე საჭირო იყო მისულიყავი ფეხით პავილიონამდე და უზმოზე დაგელია პინტა (0,57 ლიტრი) ან ორი სამკურნალო მინერალური წყალი. ერთი თვის შემდეგ მწერალმა განაცხადა, რომ თავი უკეთ იგრძნო და ახალი რომანის წერაც დაიწყო.

ამაო იმედები

მომდევნო, 1817 წლის, გაზაფხულზე ჯეიმს დაეწყო ძლიერი ციებ-ცხელება და, როგორც მაშინ ექიმები ამბობდნენ, „ნაღვლის ჩაქცევა“, და დაენიშნა თბილი კომპრესები და ფუტკარას და ბელადონის ნახარშები. როდესაც ცხადი გახდა, რომ, მიუხედავად მიღებული ზომებისა, მის ჯეინი ვერ დგება ლოგინიდან, ადგილობრივმა ექიმებმა ურჩიეს ავადმყოფი გადაეყვანათ ვინჩესტერში — დიდ ქალაქში, სადაც იყო ჰოსპიტალი „ლონდონზე არანაკლები კვალიფიკაციის ექიმებით“.

ჯეიმს მკურნალობდნენ იმ დროისათვის ტრადიციული დარიშხანის პრეპარატებით, აძლევდნენ ოპიუმის ნაყენს (იმ დროს მას ტკივილგამაყუჩებელ და ძილის საშუალებად მიიჩნევდნენ). მაგრამ ვინჩესტერის ნაქებარი მედიცინა ვერ დაეხმარა — ჯეინის მშობლების წერილები — ისინი მას რიგრიგობით დასდევდნენ თან — აღსავსე იყო საჩივრებით ავადმყოფის მდგომარეობის გაუარესების შესახებ — დამაუძლურებელი სისუსტე, ციება, ტკივილი ზურგში, დეპრესია. ასევე წერდნენ ჯეინის კანის ფერის ძლიერი ცვლილების შესახებ —„გაუშავდა სახე და ადგილ-ადგილ სხეულიც“. ეს ყოველივე საშუალებას აძლევდა თანამედროვე მკვლევარებს ესაუბრათ ადისონის დაავალების შესახებ.

ჯეინი თავისი საყვარელი დის კასანდრას ხელში გარდაიცვალა.

თანამედროვე მიდგომა

ადისონის დაავადება, ანუ თირკმელზედა ჯირკვლების ქერქის ქრონიკული უკმარისობა — მეტად იშვიათი პათოლოგიაა. პროგნოზი ხელსაყრელია თავისდროული და ადეკვატური თერაპიის პირობებში. ავადმყოფს ურჩევენ დიეტას მთელი ცხოვრების განმავლობაში, რომლის დროსაც უნდა შეეზღუდოთ კალიუმის (პარკოსნების, კაკლის, ბანანის...) მიღება და შეავამციროთ ან გავზარდოთ მარილის მოხმარება — კონკრეტული პრეპარატების მიღების შესაბამისად. ინიშნება შემცველი ჰორმონოთერაპია — კორტიზოლის ჰორმონის უკმარისობა იცვლება ჰიდროკორტიზონით.

ედუარდ მანე

მხატვრების ნამუშევართა გამოფენა „პარიზის სალონი“ იხსნებოდა ყოველწლიურად და არასოდეს არ ჩაუვლია სკანდალის გარეშე. მაგრამ არავინ, ედუარდ მანეს გარდა, არ ღირსებია საეჭვო პატივს, გამხდარიყო საყოველთაო ზიზღის მიზეზი.

მისმა ორმა ნამუშევარმა —„საუზმე ბალახზე“ და „ოლიმპია“— პუბლიკის იმდენად ბობოქარი რეაქცია გამოიწვია, რომ „პარიზის სალონის“ დირექცია იძულებული გახდა, დაეყენებინა სურათებთან ორი ჟანდარმი.

ამბულატორიული ავადმყოფის სამედიცინო ბარათი

გვარი, სახელი, მამის სახელი: მანე ედუარდი

დიაგნოზი: ზურგის ტვინის ტაბესი

საქმიანობა: ფერმწერი

დაბადების თარიღი: 1832 წელი

გარდაცვალების თარიღი: 1883 წელი

სიმშვიდის აღმაშფოთებელი

მაგრამ მხატვარი არ ნებდებოდა და ხატავდა სულ ახალ სურათებს, მუდმივ სისუსტეს იქარწყლებდა კოლოსალური ნერვული დაძაბულობით, რასაც განიცდიდა, ისწრაფოდა, მოეპოვებინა „პარიზის სალონის“ კეთილი განწყობილება. ტკივილს მარცხენა ფეხზე ის თავდაპირველად ასევე არ აქცევდა ყურადღებას. იგი ომის შედეგად მიაჩნდა — მანე მოხალისედ წავიდა, რათა დაეცვა მშობლიური პარიზი მისი 1870 წელს რუსული არმიის მიერ ალყაში მოქცევის დროს და იძულებული იყო მრავალი დღე-ღამის განმავლობაში ყოფილიყო სანგარში.

1877 წელს სიარულის დროს ფეხის ტკივილი დაეწყო, და მხატვარმა, როგორ იქნა, მიმართა ექიმს. მას არაფერი კონკრეტული მისთვის არ უთქვამს, და მანემ თავად დაუსვა თავის თავს დიაგნოზი —„რევმატიზმი“.

ახლა მანეს აღარ შეეძლო, დიდხანს მდგარიყო მოლბერტთან და იძულებული იყო, ხშირად წამოწოლილიყო დივანზე, რომ დაესვენა. მტკივანი ფეხი ისე ძლიერ აწუხებდა ხოლმე, რომ მხატვარი ექიმს თხოვდა, გამოეწერა მისთვის ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. ოპიუმის ნაყენი ეხმარებოდა, მაგრამ შემდეგ კვლავ და კვლავ უწევდა, წასულიყო აფთიაქში. ბოლოს და ბოლოს, გაწამებული მონე გადავიდა უფრო ნაკლებად სატანჯავ ტექნიკაზე — საწოლისაზე.

მოჯადოებული წრე

70-იანი წლების ბოლოს მხატვარი, როდესაც ქუჩაში გამოდიოდა, განიცდიდა ძლიერ სისუსტეს ფეხებში და ეცემოდა. ის გასინჯა ცნობილმა ექიმმა სირედემ, რომელიც აღნიშნავდა მოძრაობის კოორდინაციის დარღვევასა და „არტერიული სისხლძარღვების დაზიანებას“ და ურჩევდა ჰიდროპროცედურებს. მანე მოთმინებით დადიოდა პარიზის სამკურნალოში და საგულდაგულოდ ასრულებდა მედიკოსების ყველა მითითებას. თანმიმდევრობით ღებულობდა შხაპს და მასაჟს, სეირნობდა სუფთა ჰაერზე. თუმცა, მოსალოდნელი გაუმჯობესება არ ყოფილა, უფრო მეტიც, იგივე სიმპტომები გაჩნდა მარჯვენა ფეხშიც. მანე დეპრესიაში ჩავარდა.

ორი წლის შემდეგ მანეს უკვე აღარ შეეძლო, დაეცვა წონასწორობა თავის ოთახში გადაადგილების დროსაც კი. მას უჭირდა მოძრაობა, მით უმეტეს მოლბერტთან დგომა. ერთადერთი, რისი დახატვაც მას კიდევ შეეძლო — ეს იყო ყვავილების თაიგულები, რომლებსაც თაყვანისმცემლები უგზავნიდნენ.

ბოლოს და ბოლოს, ტკივილები ფეხებში აუტანელი გახდა, გაჩნდა განგრენის ნიშნები. იკრიბებოდა კონსილიუმი, მაგრამ ექიმებმა ვერ გარისკეს ფეხის ამპუტირება, ვინაიდან ავადმყოფის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. მხოლოდ სამი კვირის შემდეგ გაუკეთეს ოპერაცია. რამდენიმე დღის შემდეგ ავადმყოფი ოპერაციისშემდგომი ინფექციისგან გარდაიცვალა.

როდესაც გულდასმით შეისწავლეს დაავადების სიმპტომატიკა და მხატვრის ცხოვრების წესი, ბიოგრაფები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მონე იტანჯებოდა განუკურნებელი სიფილისისაგან, რომელმაც დაუზიანა თავის ტვინის ნერვული დაბოლოებანი. დაავადება მას შეეყარა, როდესაც ახალგაზრდობაში იუნგად მიცურავდა არენტინაში. სიტუაცია გაართულა შაქრის დიაბეტის ან ათეროსკლეროზის შემოერთებამ.

თანამედროვე მიდგომა

ზურგის ტვინის ტაბესი განეკუთვნება ნეიროსიფილისის გვიანდელ ფორმებს და ახლა იშვიათად გვხვდება. მას პენიცილინის რიგის ანტიბიოტიკებით მკურნალობენ. ანტიბაქტერიული პრეპარატებისადმი აღმგზნების სიმკაცრის შემთხვევაში უწერენ ბისმუთის ან დარიშხანის ნაყენებს. პროგნოზი შემთხვევების უმრავლესობაში ხელსაყრელია.

რენტგენოგრაფია

რენტგენოგრაფია — ესაა სამედიცინო გამოკვლევა, სხეულის „გამჭვირვალობა“ ელექტრომაგნიტური გამოსხივებით და ფირზე ადამიანის სხეულის შინაგანი სტრუქტურების მიღება.

1895 წელს გერმანელმა მეცნიერმა ვილჰელმ კონრად რენტგენმა აღმოაჩინა გამოსხივება, რომელსაც მოგვიანებით მისი სახელი ეწოდა და რისთვისაც 1901 წელს მას ფიზიკაში ნობელის პრემია მიენიჭა.

ადამიანის სხეულის საერთო გამოსხივების განზომილების ერთეულია — მილიზივერტი.

მსოფლიოში ყველა სამედიცინო დიაგნოზის 70 პროცენტამდე ისმევა ისეთი დიაგნოსტიკის საფუძველზე, როგორიცაა რენტგენი.

ყველა შესრულებული რენტგენოლოგიური გამოკვლევის 60 პროცენტზე მეტი სტომატოლოგიაზე მოდის.

არაუმეტეს 0,001 პროცენტისა იზრდება კიბოს განვითარების რისკი სამომავლოდ გულმკერდის ან ხელებისა და ფეხების ძვალთა ჩვეულებრივი რენტგენოლოგიური გამოკვლევის შემდეგ.

შენი გამჭვირვალე სხეული

ჩვენ მუდმივად განვიცდით ბუნებრივ გამოსხივებას, მათ შორის რენტგენის სხივებით, ნიადაგში რადიოაქტიური ლითონებისაგან, რადიაციისაგან, რომელიც კოსმოსიდან მოდის.

ყველაზე ზუსტი რენტგენული გამოკვლევაა კომპიუტერული ტომოგრაფია, რომელიც საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ორგანოების სურათები სხვადასხვა სიბრტყესა და დონეზე. თუმცა, გამოსხივების დოზა კომპიუტერული ტომოგრაფიის დროს ოდნავ უფრო მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივი რენტგენის დროს.

სსრ კავშირში კუსტარული მუსიკალური ფირფიტების დამზადების დროს მუსიკას იწერდნენ ძველ რენტგენულ სურათებზე.

ბევრი საყოფაცხოვრებო საგანი ახდენს სუსტ რენტგენულ გამოსხივებას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა უბრალო სამეურნეო „სკოტჩი“, ჩვეულებრივ მდგომარეობაში იგი არ უშვებს „ისკ-სხივებს“, ხოლო „ფონობას“ იწყებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მის გორგლებს ხსნიან და ერთმანეთს აწებებენ.

ბავშვებს და მოზარდებს 15 წლამდე სხივური დიაგნოსტიკა შეიძლება ჩავუტაროთ არაუადრეს 3 წელიწადში ერთხელ.

რენტგენული გამოსხივება დიდ დოზებში შეიძლება სხივური დაავადების, სხივური დამწვრობისა და ავთვისებიანი სიმსივნეების მიზეზი გახდეს. ამიტომ რენტგენურ გამოსხივებასთან მუშაობის დროს უნდა ვიქონიოთ დაცვის უნარი.

0,001 მილიზივერტი — გამოსხივება, რომელიც მიღებულია ხელებისა და ფეხების ძვლების ერთი გამოკვლევის დროს — უტოლდება ბუნებრივი რადიაციის ოდენობას, რომელსაც ვღებულობთ სულ ცოტა, ერთი დღის განმავლობაში. გულმკერდის რენტგენი კი უტოლდება ბუნებრივ რადიაციას, რომელსაც ვღებულობთ ჩვეულებრივ ცხოვრებაში 10 დღის განმავლობაში.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„ედინაია აფხაზია“: კურსის ახალი შეცვლა

27 იანვარს გამართული პოლიტიკურ პარტია „ედინაია აფხაზიას“ ყრილობიდან 2 კვირის შემდეგ, რომელზეც აირჩიეს მისი ახალი თავმჯდომარე სერგეი შამბა, პარტიამ გააკეთა ხმამაღალი განცხადება საკოორდინაციო საბჭოდან გამოსვლის შესახებ.

განცხადებაში შემდეგი რამაა ნათქვამი. 2013 წლის ივნისში ჩამოყალიბდა რესპუბლიკის პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭო. ასეთი პოლიტიკური ალიანსის შექმნა, უწინარეს ყოვლისა, განპირობებული იყო მრავალი რთული პრობლემით, რაც მაშინ ჭარბობდა სახელმწიფოში. საკოორდინაციო საბჭო წარმოადგენდა აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის პოზიციას საზოგადოების განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებში, მას ჰქონდა მოქალაქეთა სერიოზული მხარდაჭერა. ამ თვალსაზრისით მეტად დამახასიათებელია პრეზიდენტის არჩევნების შედეგებიც, რომელზეც გამარჯვება მოიპოვა კანდიდატმა საკოორდინაციო საბჭოდან. მაგრამ პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ საკოორდინაციო საბჭომ საზოგადოების ცხოვრებაში თანდათან შეიმცირა როლი. დღეს კოალიცია მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. ამავე დროს საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებანი, რასაც დაჰპირდნენ მოსახლეობას, უკვე დაივიწყეს. აღმასრულებელი ხელისუფლება ახორციელებს აქტიური საქმიანობის იმიტაციას — მუხრუჭდება საკონსტიტუციო რეფორმა და ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოების რეფორმა. მთავრობის მიერ მომზადებული პროგრამა აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ მთლიანად არ შეესაბამება თანამედროვე რეალიებს. აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა სულ უფრო ნაკლებად შეესაბამება საზოგადოების მოთხოვნებს. რესპუბლიკის პოლიტიკურ პარტია „ედინაია აფხაზიას“ არ შეუძლია შეურიგდეს იმას, რომ იმ პარტიებს, რომლებიც შედიან საკოორდინაციო საბჭოში, გამოეყოფა სტატისტების როლი, და აცხადებს თავისი გამოსვლის შესახებ საკოორდინაციო საბჭოდან.

საიტზე „აფხაზ ავტო“ განთავსებულმა ამ განცხადებამ აფეთქებული ბომბის ეფექტი მოახდინა. მართალია, თუ გავიხსენებთ, რომ პარტია „ედინაია აფხაზიას“ უკანასკნელ ყრილობაზე არაერთგზის გაისმა სერიოზული კრიტიკა მოქმედი ხელისუფლების მისამართით, ეს დიდად არ უნდა გვაკვირვებდეს. აქ კიდევ დავუმატებდით მსჯელობას იმის შესახებ, რომ, იმის მსგავსად, თუ როგორ მოსდევს შემოდგომა ზაფხულს, ზამთარს კი გაზაფხული, პოლიტიკურ ცხოვრებაშიც ასევე არსებობს ციკლურობა. დროა, შევკრიბოთ პარტიები და მოძრაობები ბლოკებად სახელისუფლო ბასტიონებზე შეტევისათვის და, დადგა დრო, როდესაც გამარჯვებული ბლოკი, სხვადასხვა მიზეზების გამო, იშლება. ერთიც და, მეორეც აფხაზეთის უახლეს ისტორიაში არ ხდება პირველად, თუმცა ყოველთვის, რასაკვირველია, ახლებურად და არა ზუსტად განმეორებით. ეს ციკლურობა განპირობებულია არა მხოლოდ პოლიტიკური ძალების დამკარგავი ბუნებრივი რევანშისტული მისწრაფებებით, არამედ მოსახლეობის ყველაზე გულუბრყვილო ნაწილის გარდუვალი გაწბილებით იმის გამო, რომ „წინასაარჩევნო დაპირებები არ სრულდება“.

ერთ-ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი, რისი წყალობითაც რაულ ხაჯიმბას მომხრეებმა შეძლეს 2014 წელს გამოეტაცათ ალექსანდრ ანქვაბისა და მისი გუნდისაგან ხელიდან ხელისუფლება, იყო ის, რომ მათ შეძლეს გაერთიანებულიყვნენ საკოორდინაციო საბჭოში — ოთხი იმ დროს არსებული ექვსი პოლიტიკური პარტიიდან და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის უდიდესი უმრავლესობიდან — ანქვაბს კი პოლიტიკურ რესურსად დარჩა მხოლოდ პარტია „ამცახარა“.

27 იანვარს „ედინაია აფხაზიას“ ყრილობაზე გამოცხადდა მისი წევრების რიცხვიც — 11 ათასი. აფხაზეთისათვის ეს, რასაკვირველია, მეტად მნიშვნელოვანი ციფრია. ბევრ მეთვალყურეში პარტიების რიცხოვნობის ასეთი ციფრები სერიოზულ ეჭვს იწვევს. ამავე დროს კარგადაა ცნობილი: 2009 წელს, როდესაც „ედინაია აფხაზია“ იყო პარტიის ხელისუფლება, მისმა ხელმძღვანელობამ საფუძვლიანად იმუშავა პარტიის რიგების გაფართოებისათვის, რის შედეგადაც მეთვალყურეები აღნიშნავდნენ, რომ „ერთიანი აფხაზების“ რიცხვი, ყოველ შემთხვევაში ანგარიშების მიხედვით, რესპუბლიკაში ერთ სულ მოსახლეზე გახდა უფრო მეტი, ვიდრე ეს იყო მეოთხედი საუკუნის წინათ სკკპ რიგებში. ნებისმიერ შემთხვევაში, არავინ იდავებს იმის გამო, რომ „ედინაია აფხაზია“ მნიშვნელოვანი პოლიტიკური რესურსია;

ამავე დროს რესპუბლიკაში არც ერთი პოლიტიკური ძალა ასე ხშირად არ გადასულა ოპოზიციიდან მმართველ პარტიაში და — პირიქით. შეგახსენებთ, რომ იგი შეიქმნა 2004 წლის მარტში, როგორც ოპოზიციური პარტია, ერთი წლის შემდეგ გახდა ხელისუფლების ძალა და ასეთად რჩებოდა 7-8 წლის განმავლობაში, სანამ 2013 წლის ივნისში, ანქვაბის პრეზიდენტობის დროს, პარტიამ მორიგ ყრილობაზე არ განაცხადა თავისი გადასვლის შესახებ ოპოზიციაში. 2014 წლის აგვისტოში იგი უკვე საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში ყოფნის დროს, კვლავ გახდა სახელისუფლო.

და აი ახალი ვირაჟი. ამასთან დაკავშირებით პარტიის ლიდერის ამასწინანდელი შეცვლა გამოიყურება კიდევ უფრო ლოგიკურად. ყოფილი — დაურ თარბა, რომელიც ამჟამად „აფხაზტოპს“ უდგას სათავეში — შედის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში. სერგეი შამბა კი — პარლამენტის დეპუტატი, წარმოადგენს ხელისუფლების საკანონმდებლო შტოს და გაცილებით უფრო თავისუფალია თავის მოქმედებებში პრეზიდენტთან და მთავრობასთან დამოკიდებულებაში.

ნიშნავს „ედინაია აფხაზიას“ გამოსვლა საკოორდინაციო საბჭოდან მის გადასვლას პოლიტიკური ოპოზიციის რიგებში? სიტუაციაში, როდესაც ქვეყანაში იზრდება პრობლემები, მათ შორის ენერგეტიკული, ეცემა მოსახლეობის რეალური შემოსავლები და, შესაბამისად, მწიფდება საპროტესტო განწყობილებანი, ასეთი ნაბიჯი გამოიყურება სავსებით ლოგიკურად. მაგრამ იმის მსგავსად თუ როგორც „აინარი“ და სხვა ახალი პარტიები აფხაზეთში არ ჩქარობენ შევიდნენ ოპოზიციური ძალების ბლოკში, მით უმეტეს, ვფიქრობთ, ამას არ გააკეთებს არც „ედინაია აფხაზია“, ისინი უპირატესობას ანიჭებენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას, თანაც იგი არასოდეს ყოფილა რადიკალური პარტია. საიტზე „აფხაზ ავტო“, სადაც სჭარბობენ ანქვაბისტები, ერთ-ერთმა კომენტატორმა პარტიის უკანასკნელ განცხადებას „უგუნურიც“ კი უწოდა. შესაძლებელია, მას, კერძოდ მეტად ფრთხილად მოეჩვენა ფრაზა: „მთავრობის მიერ მომზადებული პროგრამა აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ მთლიანად არ შეესაბამება თანამედროვე რეალიებს“.

ჰოდა, ვინ და რა პირობებით დაიბლოკება, როდესაც კვლავ გაჩაღდება ბრძოლა პრეზიდენტის საკვარძლისათვის, ამაზე მსჯელობა ჯერჯერობით ნაადრევია.

ტექსტი შეიცავს ტოპონიმებსა და ტერმინოლოგიას, რომლებსაც იყენებენ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებში.

დედამიწის ზურგზე

რუსეთმა ერაყს 20-ზე მეტი სარაკეტო-საქვემეხო კომპლექსი „პანცირ ს-1“ მიჰყიდა

„ინტერფაქსის“ წყაროს მონაცემების თანახმად, ეს საბრძოლო მანქანები მიეწოდა რუსეთის ფედერაციასა და ერაყს შორის კონტრაქტების ფარგლებში, რომლის დეტალებსაც არ ახმაურებენ. არაოფიციალური მონაცემებით, იგი დაიდო 2012 წელს, მისი ღირებულება შეფასებულია 4,2 მილიარდ დოლარად. კონტრაქტში ასევე შედის საბრძოლო შვეულმფრენებისა და შემტევი თვითმფრინავების მიწოდება.

ვენესუელის უმაღლესი სასამართლო დადგა პრეზიდენტ მადუროს მხარეზე და მოქმედად მიიჩნია ბრძანებულება ეკონომიკაში საგანგებო მდგომარეობის შესახებ



ბრძანებულება საგანგებო ეკონომიკური მდგომარეობის შემოღების შესახებ 2 თვით ითვლება ძალაში შესულად 14 იანვრიდან. ადრე ვენესუელის პარლამენტმა, რომელიც ოპოზიციაშია მოქმედ მთავრობასთან, უარი განაცხადა, დაამტკიცოს მადუროს ბრძანებულება, რაც სასამართლომ არასწორად მიიჩნია.

ჩაივანზე მიწისძვრის მსხვერპლი უკვე 94 კაცი გახდა

მომხდარიდან 6 დღის შემდეგ დაღუპულთა რიცხვი კვლავ იზრდება. თითქმის ყველა მსხვერპლი იყო 17-სართულიანი საცხოვრებელ კომპლექს „ვეიგუანის“ მცხოვრები. ტრაგედიის ადგილზე გრძელდება მასშტაბური ოპერაცია ნანგრევების გასაწმენდად, მაგრამ გადარჩენილთა აღმოჩენის შანსები უკიდურესად მცირეა.

დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს დირექტორმა განაცხადა, რომ ისლამური სახელმწიფო იყენებს ქიმიურ იარაღს და შეუძლია მისი წარმოებაც

ერთ-ერთი ტელეარხისათვის მიცემულ ინტერვიუში ჯონ ბრენანმა დაადასტურა, რომ ისლამური სახელმწიფოს ბოევიკები ხშირად იყენებენ საბრძოლო მომწამვლელ ნივთიერებებს და, ამას გარდა მიიღეს პრეკურსორებთან შესვლის უფლება და შეუძლიათ დამოუკიდებლად აწარმოონ ქლორი და იპრიტი. მან არ გამორიცხა აგრეთვე, რომ მათგან საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერებანი მოხვდეს დასავლეთში.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაადასტურა რუსი პაკერების მონაწილეობა უკრაინის ენერგოსისტემაზე წარმატებულ შეტევაში

უკრაინული ინციდენტის გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღეს გამოკვლევის ფედერალურმა ბიურომ, სახელმწიფო დეპარტამენტმა, ენერგეტიკის სამინისტრომ და ეროვნული უშიშროების სამინისტრომ. ასეთი ყურადღება განპირობებული იყო იმით, რომ შარშან მომხდარ ამბავთან ეჭვების დადასტურების შემთხვევაში იგი შეიძლება გახდეს პირველი მასშტაბური ხაკერული შეტევა, რომელიც მიმართული იყო სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ.

ამერიკის მთავრობაში ფიქრობენ, რომ რუსეთის შემოტევას უფრო რეალური ძალა უნდა დაუპირისპირდეს!

2017 წლის აშშ-ის ფინანსური დოკუმენტის თანახმად, რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ მიმართული ასიგნებებიდან, 952 მილიონი დოლარი უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვასკენ არის ორიენტირებული. თუმცა, ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა ცენტრალური აზიის ქვეყნებსაც მოხმარდება. ამ ტიპის ფინანსური მხარდაჭერა ჩამოთვლილი ქვეყნების სამხედრო პოტენციალის გამყარებას და გაძლიერებას ითვალისწინებს.

გარდა ამისა, „რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ“ გამოყოფილი თანხები მოხმარდება კანონის უზენაესობის გამყარებას, ანტიკორუფციული რეფორმების განხორციელებას, ენერგოუსაფრთხოების გაძლიერებას, ფინანსური რეფორმების მხარდაჭერას, ვაჭრობისა და ეკონომიკურ დივერსიფიცირებას.

მთლიანობაში 2017 წელს აშშ რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად 4.3 მილიარდ დოლარს დახარჯავს.

აშშ-დან გამოყოფილ ფინანსურ დახმარებას საქართველო ქვეყნის საფრთხეების მინიმაზაციისთვის გამოიყენებს. საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი აცხადებს, რომ აღნიშნული დახმარება არც ერთი ქვეყნის, მათ შორის არც რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული.

ანალიტიკოსების შეფასებით, 2015 წელთან შედარებით აშშ-ის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ოდენობის გაზრდა, რუსეთის მხრიდან საფრთხის გაზრდიდან გამომდინარეობს, რადგან რუსეთის მხრიდან საფრთხე დღეს უფრო დიდია, ვიდრე ეს ორი წლის წინათ იყო.

იმ შემთხვევაში, თუ ალიანსსა და აშშ-ის მხრიდან შესაბამისი ადეკვატური ნაბიჯები არ იქნა გადადგმული, პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილის განცხადებით, რუსეთი არ ითაკილებს გასცდეს სირიის საზღვრებსაც.

ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის დირექტორი ვასილ კაჭარავა ამბობს, რომ საქართველოს თავდაცვის ხაზი გადის არა მხოლოდ ცხინვალზე და აფხაზეთზე, არამედ ქვეყნის საშინაო პოლიტიკაზეც, ეკონომიკაზეც, ჩვენს სულიერ და კულტურულ განვითარებაზეც. შესაბამისად, ამ საფრთხეების ადეკვატური იქნება ფინანსური დახმარება.

„რასაკვირველია, ამერიკაში კარგად აანალიზებენ შექმნილ ვითარებას, კარგად ხედავენ პუტინის განწყობას და მოქმედებას. ამიტომაც, ამერიკის მთავრობაში ფიქრობენ, რომ რუსეთის შემოტევას ცოტა უფრო რეალური ძალა უნდა დაუპირისპირდეს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ომი უნდა დაიწყოს“, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას ვასილ კაჭარავამ.

◎ ნელა, მაგრამ... ხალხს ქონება უბრუნდება

როგორ აპირებს მთავრობა მართლმსაჯულების ხარვეზების გამოსწორებას?

საქართველოში ათასობით პატიმარი და ნასამართლობის მქონე პირი დღემდე საკუთარი საქმეების გადასინჯვის მოლოდინშია. თუმცა, სახელმწიფომ ამ დრომდე ვერ შექმნა მექანიზმი, რომელიც კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებების გადახედვას გაამარტივებს.

მაგალითად, „პოლიტკომერსანტი“ რამდენიმე თვის წინათ წერდა ერთ-ერთ ასეთ ფაქტზე. თემურ ყურაშვილი შვილის მკვლელობაში ბრალდებულის გათავისუფლებას ითხოვს. ამ საქმეზე განაჩენის გამოტანის შემდეგ, გაირკვა, რომ მოწმეების ჩვენებები ზეწოლით იყო მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული მხარე მსჯავრდებულის უდანაშაულობაში დარწმუნებულია, 24 წლის გიორგი მარღანია დღემდე მკვლელობისთვის იხდის სასჯელს და მისი საქმის გადასინჯვის სამართლებრივი მექანიზმი არ არსებობს... ეს საქმე ერთ-ერთია იმათგან, რომლებიც სწორედ სამართლებრივ ჩიხში მოექცა.

სამართლიანობის აღდგენა ბოლო წლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია და სახალხო დამცველი და არასამთავრობო ორგანიზაციები სახელმწიფოსგან წლებია, ამ სფეროში ეფექტური მექანიზმის შექმნას ითხოვენ. პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაიწყო შესწავლა, თუ როგორ ასრულებენ სამთავრობო უწყებები პარლამენტის რეკომენდაციებს. იუსტიციის მინისტრის მოადგილემ სანდრო ბარამიძემ კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, რომ ამ კუთხით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმულია.

— სახალხო დამცველის რეკომენდაცია იყო დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა. მას მიაჩნია, რომ წამებასა და სხვა ამგვარ დანაშაულებს არ უნდა იძიებდეს ის ორგანო, რომლის წარმომადგენელმაც სავარაუდოდ ჩაიდინა დანაშაული. ეს თემა მოგეხსენებათ, რომ ძალიან აქტიურად განიხილება საზოგადოებაში და ხელისუფლებაში. ამ მიმართულებით ჩვენ კონკრეტული ინიციატივებით შემოვალთ უკვე საგაზაფხულო სესიაზე. ეს ინიციატივები მოიცავს რამდენიმე კომპონენტს და მათ შორის ერთ-ერთია ახალი გარემოების დამატება, რის საფუძველზეც კანონიერ ძალაში შესული განაჩენი უნდა გადაისინჯოს. ეს ახალი გარემოება კი იქნება ის შემთხვევა, თუ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელითაც წამების, არაადამიანური მოპყრობის ან დამამცირებელი მოპყრობის გამოვლენის ფაქტი იქნება დადასტურებული. სხვა გარემოებებიც არის, რომელიც დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმს უკავშირდება. მაგალითად, მოსამართლეს ნებისმიერ სხდომაზე შეეძლება მოითხოვოს, თუ საჭიროდ ჩათვლის, საქმის გამოძიება თუ ბრალდებული გახდა წამების ან არადამიანური მოპყრობის მსხვერპლი. ასეთი დასკვნა მოსამართლემ შეიძლება გამოიტანოს ბრალდებულის ჩვენებიდან ან ვიზუალური გამომეტყველებიდან გამომდინარე...

მინისტრის მოადგილემ პროკურატურაში შექმნილი ახალი დეპარტამენტის მუშაობის შედეგებზეც ისაუბრა.

„კიდევ ერთი შესრულებული რეკომენდაცია დაზარალებულების რეაბილიტაციის თვალსაზრისით, ეს გახლავთ პროკურატურაში შექმნილი ახალი დეპარტამენტი, რომელიც სამართალწარმოების პროცესში ჩადენილ დანაშაულებს იძიებს. დეპარტამენტის მუშაობის ერთი წლის მანძილზე იდენტიფიცირებულ იქნა ქონების ჩამორთმევის 27 შემთხვევა, ამ ხილეს 21 საჯარო მოხელე, დაზარალებულად ცნეს 34 პირი, დაბრუნდა ან დაბრუნების პროცესშია 39 ავტომანქანა — საერთო ღირებულებით მილიონ 681 ათასი ლარი; მიწის ნაკვეთი ღირებულებით 691 ათასი ლარი. „აკურის“ ღვინის ქარხანა, რომლის საბალანსო ღირებულებაც 10 მილიონი ლარია. მთლიანობაში დაბრუნებული ქონება თანხობრივად შეადგენს 12 მილიონ 407 ათას ლარს“, — ამბობს ბარამიძე.

სახალხო დამცველის განცხადებით, მიღწეული შედეგები კარგია, თუმცა იმ მოლოდინებთან შედარებით, რაც საზოგადოებაში არსებობს, ძალიან უმნიშვნელოა.

— საზოგადოებას ჰქონდა ლეგიტიმური მოლოდინი, რომ მოხდებოდა ეფექტური მექანიზმის შექმნა, ათსობით ადამიანი ელოდებოდა ამ პროცესს და დღემდე ელოდება. ჩვენ ამ ადამიანებს, რომლებიც იყვნენ წამების მსხვერპლნი, თუნდაც იმავე იმ ფოტორეპორტიორებს, უნდა მივცეთ პასუხი, რატომ არა აქვთ უფლება თავიანთი საქმეების გადახედვის. მესმის, რომ რაღაც პრობლემები იყო, თუმცა საზოგადოებისთვის ბოლომდე ნათელი არ არის, რატომ არ მოხდა გარკვეული მექანიზმის შექმნა. რა თქმა უნდა, კარგია, რომ პროკურატურაში შექმნილ დეპარტამენტს აქვს შედეგები და დარღვევებზე რეაგირება ხდება, მაგრამ ეს არის ზღვაში წვეთი იმ მასშტაბებთან შედარებით, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ. საზოგადოება გაცილებით მეტს ელის. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ეს რეკომენდაცია მეტწილად შეუსრულებელია, რადგან ქვეყანაში დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, როგორც ასეთი არ არსებობს, — ამბობს ომბუდსმენი უჩა ნანუაშვილი.

თამთა ვირსალაძე

◎ სიტყვა — საქმიანი

დასავლეთის მიერ შემოგდებულმა კოჰაბიტაციამ დიდად დაგვაზარალა

უფლებადამცველ ნანა კაკაბაძის თქმით, საქართველოში პოლიტპატიმართა რაოდენობა გაცილებით დიდია, ვიდრე შეწყალების კომისიამ შეძლო გამოევლინა. ამის შესახებ კაკაბაძემ ტელეკომპანია „იბერიას“ გადაცემა „პრიორიტეტებში“ განაცხადა, სადაც ასევე იმყოფებოდა „თავისუფალი ზონის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ბადრი შუბლაძე. შუბლაძე დაინტერესდა, რატომ ვერ მოახერხა ხელისუფლებამ 4 წლის მანძილზე გამოევლინა ყველა პოლიტპატიმარი. ნანა კაკაბაძის თქმით, ამაში ხელი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და დასავლეთის ზეწოლამ შეუშალათ, რომელიც დანაშაულებრივ რეჟიმთან კოჰაბიტაციას მოითხოვდა.

„თქვენ გვიშლიდით ხელს, ნაციონალური მოძრაობა და ის ძალები, რომლებიც დასავლეთიდან მხარს გიჭერდათ და მოითხოვდნენ კოაბიტაციას დანაშაულებრივ რეჟიმთან. სამწუხაროდ, ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ დასავლეთის ზეწოლით და რეკომენდაციით მიიღო“, — განაცხადა ნანა კაკაბაძემ.

ბადრი შუბლაძემ კი აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ დამნაშავეები შეიწყალა და ამის სანაცვლოდ ფული აიღო.

„თქვენ გამოუშვით პოლიტპატიმრები და ფული აიღეთ. მილიონერები გახდით და დააყაჩაღეთ მთელი საქართველო. იმასაც ხო ვერ იტყვით, რომ ელისაშვილი ჩვენი მომხრეა. ელისაშვილი იყო პირველი, რომელიც ებრძოდა სააკაშვილს“, — აღნიშნა შუბლაძემ.

სოზარ სუბარმა და იან კელიმ თავშესაფრები გახსნეს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა იან კელიმ მარტყოფში თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის მეორე კორპუსი გახსნეს.

საქართველოში აშშ-ის საელჩოსა და სამინისტროს ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, 72 ადამიანზე გათვლილ თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის ახალი კორპუსის მშენებლობას საფუძველი ორი წლის წინ ჩაეყარა.

მიმღები ცენტრის მშენებლობა, აშშ-ის ევროპული სარდლობის ხელმძღვანელობით, აშშ-ის თავდაცვის თანამშრომლობის ოფისმა უზრუნველყო.

მსოფლიოში მიმდინარე გამწვავებული კონფლიქტების შედეგად, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი გაოცმაგდა. თავშესაფრის მაძიებელთა მზარდმა ნაკადმა მათი განთავსების შესაძლებლობების გაზრდის აუცილებლობა განაპირობა.

ამ დრომდე საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა ერთადერთი მიმღები ცენტრი ფუნქციონირებდა, რომელიც 60 პირზეა გათვლილი.

ახალი შენობა აღჭურვილია თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, რაც თავშესაფრის მაძიებლებს საქართველოში ყოფნის პერიოდში მაქსიმალურად კომფორტულ გარემოს შეუქმნის.

ცენტრში მოწყობილია ტრენაჟორების დარბაზი, ბავშვთა გასართობი ცენტრი, კომპიუტერების, საკლასო, მოსასვენებელი და შეხვედრების ოთახები. გარემო ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის.

მიმღები ცენტრის მშენებლობისათვის ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა 951,725 დოლარი გამოყო. გაეროს დაფინანსებით ახალი კორპუსისათვის შეძენილი იქნა 155 000 ლარის ღირებულების ავეჯი და ტექნიკა.

სპეციალურად გახსნის ცერემონიისათვის საქართველოში ჩამოვიდა აშშ-ის არმიის ინჟინერთა კორპუსის ევროპის რეგიონის ხელმძღვანელი პოლკოვნიკი ტაილერი.

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

◎ ოლიმპიური ჩემპიონები

რაფაელ ჩიმიშკიანი - ქვემსუბუქების ელვა და მეხი

ძართული სპორტის ისტორიაში დაუვიწყარი ფურცლები ჩაწერა რაფაელ ჩიმიშკიანმა: 1952 წელს იგი ჰელსინკში XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა. მსოფლიო ჩემპიონატებზე 1954 და 1955 წლებში ოქროს მედლები მოიპოვა, ორჯერ კი (1950 და 1953 წ.წ.) ვერცხლის მედლები დაიმსახურა. ევროპის ხუთგზის (1950, 1954-57 წ.წ.) ჩემპიონმა საბჭოთა კავშირის პირველობებზე ორჯერ მეტი ოქროს ჯილდო მიიღო, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს ხომ თვლა არა აქვს. 11-ჯერ მსოფლიო, 13-ჯერ კი საკავშირო რეკორდები გააუმჯობესა. სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი, სპორტის რაინდი რაფაელ ჩიმიშკიანი 1973 წლიდან საერთაშორისო კატეგორიის არბიტრია. ყოველივე ამას კი სათავე 1946 წელს დაედო.

– 66 წლის წინათ, როცა პარიზში პირველად მოვიგე ევროპის ჩემპიონატი, საფრანგეთიდან დაბრუნებულს ჯერ რკინიგზის სადგურზე, მერე ჩემს ბინასთან უამრავი ხალხი დამხვდა. იმ დღეებს რომ ვიხსენებ, ცრემლით მევსება თვალები. როგორი ბედნიერი იყვნენ ჩემი უბნელები: მე, მათთან ერთად ვერაზე გაზრდილი ბიჭი, ძალოსნობაში ევროპის ჩემპიონი გავხდი, - მითხრა ოლიმპიურმა ჩემპიონმა.

– და რით დაიწყო ყველაფერი ეს, ბატონო რაფაელ?

– რუსთაველის ქეგლთან, გაბაშვილის 5 ნომერში ვცხოვრობდი. ეზოში ერთი ახოვანი ჭაბუკი გვყავდა – კინომსახიობი ვანო ტურიაშვილი. მე-2 სართულის აივანზე იგი ყოველ დილით თვითნაკეთი შტანგით ვარჯიშობდა, შემდეგ ეზოში ჩამოდიოდა და ზამთარ-ზაფხულ ონკანთან ცივი წყლით იკაჟებდა დაკუნთულ სხეულს. ბავშვები ვცდილობდით, მისთვის მიგვებაძა. თუმცა, გვაფრთხილებდა, სანამ არ გაიზრდებით, მძიმეს ნუ ასწევთ, ორგანიზმისთვის მავნებელიაო. მე, ტანად პატარას, ძალიან მინდოდა, ძია ვანოსავით ძლიერი ვყოფილიყავი. ამ სურვილმა მერვე კლასის მოსწავლე ბესიკის ქუჩაზე „დინამოს“ დარბაზში მიმიყვანა. პავლე გუმაშიანმა თავის ჯგუფში ჩამწერა. სამი თვის ვარჯიშის შემდეგ საკავშირო პირველობაზე წამიყვანა გორკში. ყველაზე უმცროსი (მაშინ ასაკს ყურადღება არ ექცეოდა) და ტანითაც პატარა ვიყავი. ჩემს წონაში სამ ათეულზე მეტი ძალოსანი გამოდიოდა. მე-9 ადგილი დავიკავე. არ დამავიწყდება დაჯილდოებისას დიქტორის სიტყვები: მჩატე და ქვემსუბუქი წონის ძალოსნებო, დაიმახსოვრეთ რაფაელ ჩიმიშკიანის სახელი – თბილისში თქვენი ელვა და მეხი იზრდებაო. ისე შემრცხვა, არ ვიცოდი, სად დავმალულიყავი, თუმცა იმ სიტყვებმა დიდი სტიმული კი მომცა. ორ წელიწადში – 1948 წლის მიწურულს ლენინგრადში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გავხდი.

ერთი ამბავიც მინდა, გავიხსენო: გორკში პირველად ვნახე მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი გიორგი ნოვაკი. თანაგუნდელებთან ერთად სასტუმროს დერეფანში ვიდექი. პატარა, ჩასხმული ტანის კაცმა ჩაგვიარა. ეს ნოვაკიაო, მითხრეს ბიჭებმა. ასეთი დაბალი კაცი მსოფლიოს ჩემპიონი როგორ გახდა-მეთქი, წამომცდა ჩემდა უნებურად. გიორგიმ გაიგონა ჩემი სიტყვები. შენ ხომ გოლიათი მყავხარო, შემომიკურთხა... რამდენიმე წლის შემდეგ ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე ერთ ოთახში მოვხვდით, მაგრამ ექვსი წლის წინანდელ ამბავზე კრინტიც არ დაუძრავს. დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ ნოვაკი ცირკში მოღვაწეობდა და თბილისში რომ ჩამოვიდოდა, მე მსტუმრობდა. ბოღმა კაცი არ იყო და ვმეგობრობდით. მოსკოვის ოლიმპიადის დაწყებამდე სამი დღით ადრე გარდაიცვალა...

საკავშირო ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ რაფაელ ჩიმიშკიანის სამეგობრო წრე გაიზარდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1948 წლის საკავშირო ჩემპიონატიდან სპორტის ოსტატის სამკერდე ნიშნით ჩამოვიდა. ბიჭები მის ერთ ციცქნა ოთახში იყრიდნენ თავს, შეჯიბრების ეპიზოდებს აამბობინებდნენ ან რადიოს უსმენდნენ ერთად. ახალგაზრდა ძალოსანი ბესიკის ქუჩაზე ვარჯიშს რომ დაამთავრებდა, შინისკენ მოიჩქაროდა, რომ ცხელი წყალი გადაევლო. მართალია, დარბაზს შხაპი ჰქონდა, მაგრამ იქ საბანაოდ ანდრო ნავასარდოვი, გაბო ხანუკაშვილი, გიორგი ვართანოვი, ლევან ღუდუშაური, შალვა გორგასლიძე და სხვა ცნობილი სპორტსმენები რომ შედიოდნენ, რცხვენოდა მათთან ერთად შხაპის მიღება. დედის გაცხელებული წყალი ერჩია.

როგორ ჩაუშვა ლუჩკინმა

– პირველ დიდ გამარჯვებას როდის გაუსინჯეთ გემო?

– 1948 წელს ლესელიძეში სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო პირველობა გაიმართა. ის იყო, ოფიციალურ მსოფლიო რეკორდზე მეტი – 118 კილოგრამი ავკარი, რომ დარბაზში მყოფი „პადრუჟკისკენ“ გამეპარა მზერა – თუ მიყურებსმეთქი. არასწორად დავიჭირე შტანგა და მსაჯებმა წონა არ ჩამითვალეს. მეორე ადგილით დავკმაყოფილდი. პირველობა კიეველ ანდრეი კონკინს ერგო. იმავე წელს ლენინგრადში საკავშირო ჩემპიონატზე სახელოვან სპორტსმენებს – ევროპის მაშინდელ ჩემპიონ ივან აზდაროვსა და საკავშირო ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებულ დიმიტრი დანსკოის ვაჯობე და მჩატე წონაში (56 კგ) პირველად გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.



– თქვენი უმთავრესი კონკურენტები ხომ უდადოვი და საქსონოვი იყვნენ?

– 1949 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიც მჩატეში მოვიგე და მსოფლიოს მეორე სპორტული ფესტივალისთვის ვემზადებოდი. ამ შეჯიბრებას ბუდაპეშტი მასპინძლობდა. მოსკოვური შეკრებისას ბიჭებს შევჩივლე, მუცლის არეში ტკივილს ვგრძნობ-მეთქი. ივან უდადოვის მწვრთნელმა – ლუჩკინმა „ჩამიშვა“. ექიმებმა უნგრეთში გამგზავრების უფლება არ მომცეს. ჩემ ნაცვლად უდადოვი წაიყვანეს და კარგი ჩიტიც დაიჭირეს – სამეულში ვერ მოხვდა. თბილისში დაბრუნებულმა ბრმანწლავის ოპერაცია გავიკეთე და წონაშიც მოვიმატე, 60 კილოში გადავინაცვლე. 1950 წელს მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები ერთდროულად გაიმართა პარიზში. შეკრება ლატვიაში გავიარეთ. აკვრაში მაშინ მსოფლიოს რეკორდი 135 კილოგრამი იყო, მე კი ვარჯიშებზე 140 კილოს თავისუფლად ვწევდი. მწვრთნელთა საბჭოს სხდომაზე ბათუმელმა ვლადიმერ სვეტილკომ ქვემსუბუქ წონაში ლოპატინს დაუჭირა მხარი, არადა, მასზე უკეთ ვიყავი მომზადებული. მოსკოვში რომ ჩავედით, იქ შევიტყვეთ, რომ მჩატე წონის ივან უდადოვს საფრანგეთში არ უშვებდნენ – მეორე მსოფლიო ომისას გერმანელებს როსტოვში ტყვედ აუყვანიათ. „ზემოთ“ ლამის მიბრძანეს – წონას დაიკლებ და მსოფლიოზე 56-ში გამოხვალო. რაც მე შვიდი კილოგრამის დაკლებაზე ვიწვალე პარიზში – რამდენიმე დღე ორთქლის აბანოდან არ გამოვსულვარ, რამაც დამასუსტა, მაგრამ ევროპის ჩემპიონი მაინც გავხდი, მსოფლიოზე კი ვერცხლის მედალი მოვიპოვე. პირველი ადგილი ირანელმა მაჰმუდ ნამდიუმ დაიკავა.

– ადამიანისთვის პირველი გამარჯვება, ცხადია, დაუვიწყარია, მაგრამ თქვენთვის ყველაზე ძვირფასი, ალბათ, ჰელსინკში მოპოვებული ოლიმპიური ოქრო იქნება...

– რა თქმა უნდა, თუნდაც იმიტომ, რომ ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულის სახელი მარადიულია – იგი ყოველთვის ჩემპიონად რჩება.

– იქნებ, ოლიმპიურ ბატალიებზე უფრო დაწვრილებით გვიამბოთ.

– საბჭოთა კავშირის ძალოსანთა ნაკრების მწვრთნელები - კუცენკო, ნიკოლაი შატოვი და ალექსანდრ ნაზაროვი არმიელები იყვნენ და დიდ შეჯიბრებებზე ყოველთვის თანაკლუბელების გაყვანას ცდილობდნენ. ჰელსინკშიც ჩემს წონაში სვერდლოვსკელი ძალოსანი ნიკოლაი საქსონოვიც წამოიყვანეს – მისი გაჩემპიონობა სურდათ. ჩემდა ჭირად, ფინეთში გამგზავრების წინ ფილტვების ანთება დამემართა. როგორც ავადმყოფი, მატარებლის ბოლო ვაგონში გამამწესეს, რომელსაც „წითელი ჯვარი“ ეწერა. ჩემი მეგობრები – გივი კარტოზია და ვახტანგ ბალავაძე გვერდიდან არ მომშორებიან. ჰელსინკში რომ ჩავედით, რამდენიმე დღეში ჩიტივით ვიყავი. ფორმაც აღვიდგინე, მხოლოდ ჩემდამი მწვრთნელების დამოკიდებულება მაღიზიანებდა. განერვიულებულმა, ოლიმპიურ ფიცარნაგზე გამოსვლა დაბალი შედეგით დავიწყე – აჭიმვაში ტრინიდადელმა როდრეი უელკისმა 7,5 კილოგრამით გამისწრო. მეორე მოძრაობაში – ატაცში საგრძნობლად გამოვასწორე მდგომარეობა. ორჭიდის ჯამში დავწინაურდი. ამ დროს ჩემთან მოვიდა გივი კარტოზია. დამამშვიდა. აბა, შენ იცი, არ შეგვარცხვინო, ჩემპიონობის გარეშე სოფელში არ დაბრუნდე, საქართველოში ოქროს წაღებაში კი მე და ვახტანგ ბალავაძე შეგეშველებითო, მითხრა. მერე მკლავი მკლავზე მომადო და სამჯერ ერთი და იგივე გაიმეორა – „ჩემი ძალა – შენ!“ უნებურად გამეცინა, სტრესული მდგომარეობა საერთოდ მომეხსნა. რას ვიფიქრებდი, წინ კიდევ ახალი ნერვიულობა თუ მელოდა: აკვრის პირველ ცდაზე 132,5 კილო შევუკვეთე. მწვრთნელებმა 130 კილოგრამზე მეტის უფლება არ მომცეს. საქსონოვმა კი ჩემი შეკვეთილი წონა აკრა და დაწინაურდა. უილკისი ძალიან ჩამორჩა. ვგრძნობდი, რომ მწვრთნელები ჩემპიონობისთვის საქსონოვს ამზადებდნენ, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც მეორე ცდაზე ხელი მომეცარა, თუმცა, ღმერთი მაღალია და ყველაფერს ხედავს. მესამე ცდაზე 135 კილოგრამი ავკარი და სამჭიდის ჯამში 337,5 კილოგრამით მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი დავამყარე. ოქროს ბედი საქსონოვის ბოლო ცდას უნდა გადაეწყვიტა. მან 140 კილო ვერ დაძლია. ოქროს მედალი მე მოვიპოვე, საქსონოვი ვერცხლს დასჯერდა. ოლიმპიურ სოფელში გვიან ღამით მივედი. ბიჭებს არ ეძინათ – მელოდებოდნენ. გახარებულმა გივიმ და ვახტანგმა ავტობუსიდან საწოლამდე ხელში აყვანილი მიმიყვანეს.

სტალინი ლანძღა და აგინა

– ძალოსანთა საკავშირო ნაკრების მწვრთნელები მაინცდამაინც არც სხვა დროს განებივრებდნენ – საერთაშორისო სარბიელზე თქვენს მოცილედ სხვები მიჰყავდათ. სპორტული კარიერის განმავლობაში, მაინც, ყველაზე მეტად გული რამ დაგწყვიტათ?

– თეირანის 1957 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის საკავშირო ნაკრები სოხუმში ემზადებოდა. ამ დროს ბაქოში ამიერკავკასიისა და მოლდავეთის სპარტაკიადა გაიმართა. საქართველოს გუნდის ინტერესებისთვის ჩემთვის უჩვეულო მსუბუქ წონაში (67,5 კგ) ვიასპარეზე, არადა, 60.7 კილო ვიყავი. აშკარა ფავორიტი გახლდათ საკავშირო პირველობების არაერთგზის პრიზორი ბაქოელი რუსტამ ჰუსეინოვი. მასპინძლები იმდენად იყვნენ მის გამარჯვებაში დარწმუნებულნი, რომ პირველ ადგილზე გასულის სიგელი რომ გადმომცეს, ზედ ჰუსეინოვის გვარი ეწერა. შეჯიბრების ორგანიზატორებმა იქვე შეიტანეს სიგელში შესწორება. სოხუმში დაბრუნებულს კუცენკომ და შატოვმა არ დამიჯერეს, რომ ჩემპიონი გავხდი და ამბის გასაგებად თბილისში დარეკეს. უნდობლობის მიზეზი ნათელია – არ სურდათ თეირანში ჩემი წაყვანა. ბოლოს მაინც ჩამრიცხეს გუნდში, მაგრამ შეჯიბრებაზე ჩემ ნაცვლად მელბურნის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი მოსკოველი ევგენი მინაევი გამოიყვანეს. მან კი კვლავ წააგო ორთაბრძოლა ამერიკელ ისაკ ბერგერთან. საღამოს რადიომიმღებში თბილისი „დავიჭირე“ და უკანასკნელი ცნობები მოვისმინე. რომ თქვეს, ჩიმიშკიანმა თეირანში ტრავმის გამო ვერ იასპარეზაო, გული დამწყდა. ჩემმა მეგობრებმა ხომ იცოდნენ, როგორ ვიყავი მომზადებული.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ სპორტულ დარბაზში, რომელიც ირანის შაჰმა რეზა ფეჰლევიმ სპეციალურად ამ შეჯიბრებისთვის ააშენებინა, საზეიმო საღამო გაიმართა შაჰის თანდასწრებით. მონაწილეობდნენ მსახიობები და ის ძალოსნები, რომლებმაც ჩემპიონატზე ვერ იასპარეზეს. მათ შორის მეც ვიყავი. მაშინ ორი მსოფლიო რეკორდი მეკუთვნოდა ატაცსა და აკვრაში. იმ საღამოს ნახევარ-ნახევარი კილოგრამით ორივე გავაუმჯობესე. სასტუმროში დაბრუნებული ისევ რადიომიმღებს მივვარდი და მხოლოდ მაშინ დავმშვიდდი, თბილისმა რომ გადმოსცა, ჩვენმა რაფაელმა დღეს თეირანში ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარაო...

– მელბურნის ოლიმპიადაზე არაფერი გითქვამთ.

– ავსტრალიაში გასამგზავრებლად ტაშკენტში ვემზადებოდით. ერთ საღამოს პარტიული კრება გაიმართა. ქართველების მოძულე არკადი ვორობიოვმა სიტყვით გამოსვლისას სტალინი ლანძღა და აგინა. უკანა რიგებიდან მთაკაცი არსენ მეკოკიშვილი წამოიმართა, ვორობიოვთან მივიდა და ისეთი გაულაწუნა, საწყალი სამ მეტრზე მოისროლა. ატყდა მთელი ამბავი. მე ქართველ ფალავანს გამოვექომაგე. მეორე დღეს ძია არსენი შეკრებიდან დაითხოვეს, მე კი მელბურნში გამგზავრებისას ზედ ტრაპთან გამომიცხადეს – ოლიმპიადისთვის ფორმაში არ ხარო. მეკოკიშვილის გამოქომაგება არ მაპატიეს. ჩემს წონაში უდადოვი და მინაევი წაიყვანეს.

– ვიცი, რომ ქართველ სპორტსმენებთან ყოველთვის თბილი და მეგობრული დამოკიდებულები გქონდათ...

– არა მარტო სპორტსმენებთან. თბილისში დაბადებულსა და გაზრდილს მთელი საქართველო მიყვარდა და მიყვარს. ოლიმპიური ჩემპიონობის შემდეგ მოსკოვსა და ერევანში ოქროს სასახლეებს მპირდებოდნენ, თუ ამ ქალაქებში გადავიდოდი საცხოვრებლად, მაგრამ მშობლიური თბილისისთვის, ჩემი უბნელებისთვის არასდროს მიღალატია. მე ხომ დედა გურული მყავდა, ბერიძის ქალი. ორმოციანი წლების მიწურულიდან ვმეგობრობ ისეთ სახელოვან სპორტსმენებთან, როგორებიც იყვნენ და არიან გივი კარტოზია და ვახტანგ ბალავაძე, ნოდარ ჯორჯიკია და ოთარ ქორქია, გაიოზ ჯეჯელავა და გრიშა გაგუა, გურამ საღარაძე და სხვები. ჭირსა და ლხინში ერთად ვიყავით და ასეა ახლაც. მომავალშიც ჩემი ბიჭების თანადგომა და იმედი ნუ მომიშალოს ღმერთმა...

ვაჟა დანელია

◎ ინტერნეტიდან

კამილა ბორა-ბორაზე ვერ წამოიპლაკა

აწ უკვე კარიერაგაუბედურებული, ერთ დროს კი პერსპექტიულად მიჩნეული იტალიელი ფეხბურთელის მარკო ბორიელოს მარადიული სატრფო კამილა მორიაში, ალბათ, ის ერთადერთი ნათელი წერტილი და იმედის სვეტია, რაც მარკოს შეიძლება გააჩნდეს, რადგან კამილა სწორედ ის ქალია, ხვნეშა-ოხვრას რომ მიაყოლებს ადამიანი.

კამილა მორიაშის შესახებ ბევრის თქმა შეიძლება. ბრაზილიაში ნაშობი და აპენინებზე აღზრდილი ეს ქალბატონი ყველას გულს ადვილად იგებს და ასევე ყველა აღნიშნავს იმასაც, რომ მიუხედავად მისი გულისსწორის საფეხბურთო თვალსაზრისით ჩაოხრებისა, იგი სატრფოსადმი მაინც ერთგული რჩება და იძახის, ჩემი ძუძუ-მკერდი კი დაენაცვლოს მარკოსაო.

ერთი ისაა, რომ ბოლო დროს ამ წყვილის ჯიბეებიც გვარიანად შეთხელდა და ეს იმაშიც გამოიხატა, რომ კამილა მორიაშის დიდი სურვილის მიუხედავად, ამ ახალ წლებზე ვერ მოახერხეს ბორა-ბორას დიდებულ კუნძულებზე წამოპლაკვა. რას ვიზამთ, ასეთია მუხთალი წუთისოფელი...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ საუფლო დღესასწაული

მიგებება (მირქმა) უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

14 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი წმინდა სამოციქულო ეკლესია მირქმის წინა დღეს დღესასწაულობს, ხოლო 15 თებერვალს – მაცხოვრის მიგებებას დღესასწაულობს.

... ცნობილია, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე იმ სასწაულ ღამეს – შობას იშვა და ორმოცი დღის შესრულების შემდეგ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და მისი დამწინდველი იოსები ტაძარში მივიდნენ: წესისამებრ, ახალნამშობიარევ დედას ორმოცი დღე არა აქვს უფლება იაროს ტაძარში, ვიდრე არ წაეკითხება განწმენდის ლოცვები... დედა ღვთისმშობელს განწმენდის ლოცვა არ სჭირდებოდა, რადგან ის ქალწულად დარჩა, მაგრამ მან მაინც შეასრულა ღვთის კანონი.

საგულისხმოა, რომ დედა ღვთისმშობელს და მართალ იოსებს, რომლებიც ტაძარში ჩვილით მივიდნენ, მიეგება სულიწმინდის მადლით ცხებული სვიმეონ-მართალი-მიმრქმელი.

სვიმეონ მიმრქმელი იყო ერთ-ერთი 70ებრაელთაგანი, რომელთაც ებრაულიდან ბერძნულ ენაზე ეთარგმნათ ბიბლია...

მართალ სვიმეონს წილად ხვდა ესაია წინასწარმეტყველის წიგნის თარგმნა და როცა მიუახლოვდა ადგილს, სადაც წერია: **„აჰა, მუცლადიღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს“;** ეგონა, რომ წიგნში გაპარული იყო შეცდომა, რადგანაც შეუძლებლად ჩათვალა, ქალწულს ეშვა ძე, მან ადგილის შეცვლა განიზრახა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ მოულოდნელად სვიმეონს გამოეცხადა უფლის ანგელოზი და უთხრა მას: **„ვერ იხილავ სიკვდილს, ვიდრე არ ნახავ ქალწულისგან შობილ მაცხოვარს“.** სვიმეონი 360 წლის იყო, როცა იერუსალიმის ტაძარში მიყვანილ მრავალ ბავშვს შორის სულიწმინდის კარნახით შეიცნო მაცხოვარი და შემდეგი სიტყვებით მიეგება: **„აწ განუტევე მონაი შენი მეუფეო სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარებაი შენი“.**

აღსანიშნავია, რომ წმინდა სვიმეონთან ერთად ტაძარში იმყოფებოდა 84 წლის ქვრივი – ანა წინასწარმეტყველი; ისიც გახდა უფლის მირქმის (მიგებების) ხილვის ღირსი.

განსაკუთრებული ზეიმით ხვდებიან ამ დღესასწაულს მირქმის სახელობის ტაძარში.

გიული ლიპარტია

◎ პრიმინალი

გულგრილობა, თაღლითობა და მითვისებული ბიუჯეტის თანხები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანების, ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტების დამზადებისა და მსხვილი საწარმოს ხელმძღვანელთა მხრიდან გულგრილობის ფაქტზე შვიდი პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

გამოძიებით დადგენილია, რომ 2015 წლის აგვისტოდან დეკემბრის ჩათვლით, 9 სხვადასხვა შპს-ს სახელით განხორციელდა ჯამში, 609 794 ლარის ღირებულების ცემენტის იმპორტი. გაფორმების ეკონომიკურ ზონაში სასაქონლო საბაჟო დეკლარაციებისთვის შეირჩა საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყვითელი დერეფანი, რაც ავტომატურად გულისხმობს ტვირთის გატანამდე გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას. ბრალდებულებმა ტვირთის მოტყუებით გასატანად შეადგინეს გადახდის ყალბი დოკუმენტები, რეალურად არ მოახდინეს ბიუჯეტთან ანგარიშსწორება, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მიადგა 110 000 ლარის ზიანი.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებისათვის, მოქალაქეებს ნიაზ ლაცუზბაიას, ჯაბა შელიას, პაატა ბასარაიას, გელა ბოხუას, ვიქტორ ხუფაცარიას, კობა ყოლბაიასა და შოთა ეხვაიას ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე, 210-ე და 220 პრიმა მუხლით.

უსაფრთხოების წესების დარღვევას ტრაგედია მოჰყვა

შოთა რუსთაველის **სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში სამიმოსვლო ბილიკებისა და ასაფრენი ზოლის რეაბილიტაციის სამუშაოების წარმოებისას მამაკაცი დაიღუპა. გავრცელებული ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცს სატვირთო მანქანა დაეჯახა.**

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

ეპიტაფია

ალფეზ შელიას ხსოვნას

მძიმე დანაკლისი განიცადა საქართველოს ენერგეტიკამ – გარდაიცვალა დიდი მამულიშვილი და პატრიოტი, „საქართველოს დამსახურებული ინჟინერი“, ღირსების ორდენის ორგზის კავალერი, „საქართველოს დამსახურებული ენერგეტიკოსი“ **ალფეზ შელია**.

ალფეზ შელია დაიბადა 1943 წ. ზუგდიდის რ-ში. 1966 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი რკინიგზის ტრანსპორტის ელექტრიფიკაციის სპეციალობით. 1960-61 წლებში, ინსტიტუტში სწავლის პარალელურად, მუშაობდა თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში ელექტროშემდუღებლად. 1966-67 წლებში – ენგურჰესის მშენებლობის „გვირაბმშენის“ სამმართველოში სამთო ელექტრიკოსად. 1969-70 წლებში მუშაობდა „საქელექტრომონტაჟის“ ტრესტის ქუთაისის სპეცმონტაჟის სამმართველოს წარმოების მომზადების უბნის ოსტატად. 1970-73 წლებში – მშენებარე ენგურჰესების კასკადის მორიგე ინჟინრად. 1973-81 წლებში – ვარდნილჰესების კასკადის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსად, 1981-91 წლებში – ენგურჰესის კასკადის მთავარი ინჟინრის მოადგილედ, 1991 წლიდან – ვარდნილჰესების კასკადის დირექტორად.

დიდ პროფესიონალს, გულისხმიერ მეგობარს, პრინციპულ კოლეგას, საქმის უზადო ორგანიზატორს არასოდეს დაივიწყებენ მისი მეგობრები, კოლეგები და მოწაფეები.

საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი;
საქართველოს ენერგეტიკის აკადემია;
საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი.

ალფეზ შელია



საქართველოს ენერგეტიკოსთა არმიას გამოაკლდა კიდევ ერთი დამსახურებული ენერგეტიკოსი, დიდებული პიროვნება, კარგი მეოჯახე და მეგობარი, პატრიოტი თავისი კუთხისა და ქვეყნის **ალფეზ არსენას ძე შელია**.

იგი დაიბადა 1943 წლის 19 ოქტომბერს, ზუგდიდის რაიონის სოფ. ჭაქვინჯში. 1966 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რკინიგზის ტრანსპორტის ელექტრიფიკაციის ინჟინრის სპეციალობით. 1960-1961 წლებში, ინსტიტუტში სწავლის პარალელურად მუშაობდა თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის ელექტროშემდუღებლად, 1966-1967 წლებში კი – ენგურჰესის მშენებლობის ერთ-ერთი ქვედანაყოფის, გვირაბმშენის სამმართველოს სამთო ელექტრიკოსად. 1968 წელს მსახურობდა სსრკ-ის შეიარაღებულ ძალებში. 1969-1970 წლებში იყო „საქელექტრომონტაჟის“ ტრესტის ქუთაისის სპეცმონტაჟის სამმართველოს წარმოების მომზადების უბნის ოსტატი. 1970-1973 წლებში ა. შელია მშენებარე ენგურჰესების კასკადის მორიგე ინჟინერია, ხოლო 1973-1981 წლებში – ვარდნილჰესების კასკადის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი. 1981-1991 წლებში ენგურჰესების კასკადის მთავარი ინჟინრის მოადგილეა. 1991 წელს, საქართველოს ენერგოსისტემის მაშინდელი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ალფეზ შელია ინიშნება ვარდნილჰესების კასკადის დირექტორად, 2000 წლიდან გარდაცვალებამდე კი, იგი ამავე საწარმოს, ანუ შპს ვარდნილჰესების კასკადის დირექტორი იყო.

ალფეზ შელიას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ენერგეტიკოსის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, მიღებული ჰქონდა საქართველოსა და აფხაზეთის მთავრობების სხვადასხვა წამახალისებელი სიგელები.

წავიდა ჩვენგან თავისი ინტელექტით გამორჩეული ადამიანი, რომელმაც ნათელი კვალი დატოვა არა მარტო თავის საწარმოში, არამედ მთლიანად ენერგოსისტემაში. მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით წარმატებით მიმდინარეობდა პირველი ვარდნილჰესის ქვედა ბიეფისა და დერივაციის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ალფეზი ზედმიწევნით კარგად ფლობდა თავის პროფესიას, ამჟღავნებდა საკითხებისადმი დიპლომატიურ მიდგომას, რამაც განაპირობა მისი კარგი ურთიერთობა აფხაზურ მხარესთან, ამიტომაც იგი ამაყად დააბიჯებდა ამ მხარის დალოცვილ მიწა-წყალზე, რომელსაც, სამწუხაროდ, დღემდე ვერ აკონტროლებს საქართველოს ხელისუფლება.

ჩვენო ძმაო და მეგობარო, იძინე მშვიდად! დარწმუნებული იყავი, რომ შენს დაწყებულ საქმეებს აუცილებლად გააგრძელებს შენ მიერ გამოწრთობილი ახალგაზრდა თაობა. მსუბუქი ყოფილიყოს ის მიწა, რომელიც ჩაიხუტებს შენს სხეულს, ხოლო სული შენი, ალბათ, ზეციდან ყველას მფარველი იქნება.

შპს ენგურჰესისა და შპს ვარდნილჰესების კასკადის დირექტორი



შპს ენგურჰესის დირექტორთა საბჭო, შპს ვარდნილჰესების კასკადის დირექცია და მთელი კოლექტივი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დამსახურებული ენერგეტიკოსი, კარგი მეოჯახე და მეგობარი, ვარდნილჰესების კასკადის დირექტორი

ალფეზ არსენას ძე შელია

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს და ახლობლებს.

გამოსათხოვარი

გიორგი წურწუმია

2016 წლის 7 თებერვალს მოსკოვში მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი ქართველი იურისტი, გაგრის ყოფილი პროკურორი, შემდეგ რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი, თავისი კეთილშობილური ადამიანური თვისებებით გამორჩეული ქართველი მამულიშვილი

გიორგი რაჟდენის ძე ნურწუმია.

დიდად ვწუხვართ მისი ქართველი მეგობრები ასეთი ჩინებული ადამიანის დაკარგვის გამო და გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

ოთარ ფაცაცია, ფრიდონ თოდუა, ვაჟა აბაკელია, ბონდო ჯიძია, გივი ლომინაძე, გოგი ტორჩუა, ვახტანგ გვარამია, ნუგზარ იზორია, გურამ გუნავა, ვახტანგ თორდია, ოთარ ჟითანავა.

თემურ მურღულია, თენგიზ ქავთარაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამორჩეული პიროვნების

ჟორა (გიორგი) რაჟდენის ძე ნურწუმიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
29 3-37-87

სტუმრები პარალელური სამყაროდან

მეცნიერებს, ვინც „თოვლის კაცს“ (ალმასტის, ბიგფუტის, იეტის) ეძებს, შარშანდელი წელი შეუძლიათ აქტივში მიითვალონ, რადგან მათ ამ იდუმალი არსების... ავტოგრაფი „მოიპოვეს“!

მთელი მე-20 საუკუნის მანძილზე მკვლევარები უკაცრიელ, მიუვალ ადგილებში თოვლის კაცის ბალნის ფთილებს, ნაკვალევს პოულობდნენ, იწერდნენ თვითმხილველთა მონათხრობებს, სწავლობდნენ მისი ქცევისა და კვების თავისებურებებს. 21-ე საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული კი ტყეებში ახალგაზრდა ხეებით, ტოტებითა და ჯოხებით აგებული უცნაური კონსტრუქციების მიგნება დაიწყეს: ეს, ზოგჯერ, რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე ხეებს შორის გაჩხერილი უზარმაზარი მორები იყო, რომლებიც მოქნილი ტოტებით იკვრებოდა. ვის და რაში სჭირდება ასეთი შრომატევადი კონსტრუქციების უსიერ ტყეებში აგება?

თანაც, ასეთი რამ დედამიწაზე მრავალ ადგილას ხდება – ურალის მთებში, ციმბირში, ამერიკის ტყიანი მასივებით დაფარულ ორეგონის შტატში. მეცნიერები დარწმუნებულნი არიან: **თოვლის კაცები ერთმანეთს ნიშნებს გადასცემენ, რომლებსაც მიწაში გარკვეული ფორმით ჩარჭობილი ტოტებით გამოსახავენ.** ეს ნიშნები ძველისძველ დამწერლობას **რუნებს** ჰგავს. კანადელ მკვლევართა ჯგუფმა **რენდი ბრისონის ხელმძღვანელობით დაახლოებით 3 ათასი ასეთი ნიშანი დააფიქსირა, რომლებმაც მათი კლასიფიცირება დაიწყეს და ნელ-ნელა გაშიფვრასაც შეუდგნენ.**

იეტის პორტრეტი და ხის მერქანზე მისი პერსონალური ავტოგრაფი

ყაზახეთის ალმატის ოლქში არის მკვლევარი, რომელიც ამ იდუმალ არსებებთან... ძველსლავური ნიშნებით ურთიერთობს: იგი მიწაზე ტოტებით წარწერას ტოვებს, მეორე დღეს მის მაგივრად სხვა ხვდება, თანაც ყველაფერი სავსებით გააზრებულად ხდება. მეტიც: არის მოსაზრება, რომ იეტის შეუძლია გარემოდან... ელექტრობის მიღება, როგორც ამას თავის დროზე გენიალური ნიკოლა ტესლა გვთავაზობდა – ყაზახეთში იეტის აგებული პირამიდიდან 12-ვოლტიანი ნათურის ანთება შეძლეს!!!

კემეროვოს ოლქში ერთი ტაშტაგოლელი მხატვარი ა. ლიუშჩენკო ტყეში პირისპირ ბალნით დაფარულ უზარმაზარ არსებას გადაეყარა. შეხვედრამ ორივე გააოგნა, მერე კი მხატვარმა იგრძნო, რომ არსება მას ტელეპატიურად მიმართავს: **თოვლის კაცი ეუბნებოდა, რომ ბოლო დროს ადამიანებმა ძალიან დააბინძურეს გარემო და რომ იგი აქ ოჯახთან ერთად ცხოვრობს. ამ „დიალოგის“ შემდეგ მხატვარმა არყის ხის მერქანზე „თანამოსაუბრის“ პორტრეტის ხატვა დაიწყო, რომელიც შემდეგ აჩვენა. მან თავი დაუკრა და ნახატის გვერდით ნიშანი დაფხაჭნა ანუ ავტოგრაფი დატოვა! კაცმა გუნებაში სახელი ჰკითხა, რაზეც იეტიმ უპასუხა: „ტა-ბანი“. მოგვიანებით ადგილობრივმა შამანმა მას აუხსნა, რომ შორეულ ენაზე ეს ან „დიდ ფეხს“, ანდა „მოუხელთავს“ ნიშნავს.**

არის ცნობები იმის შესახებ, რომ ასეთი არსებები ბევრჯერ უნახავთ პოდმოსკოვიეში. ისინი გასაოცარი უნარის მქონე არსებები არიან – არსებობს ვერსია, რომ **მათ როგორც ჩვენს სამგანზომილებიან, ასევე კიდევ ოთხგანზომილებიან სივრცეში არსებობა შეუძლიათ.** ერთ-ერთი მოწმის თქმით, რამდენიმე წამში მას შემდეგ, რაც ის თოვლის კაცს გადაეყარა, მან მის თვალწინ გაქრობა დაიწყო, თითქოს უცბად ბურუსში გაეხვია, რომელმაც იგი უმალ შთანთქა...

მკვლევარები აცხადებენ, რომ **მეოთხე განზომილებაში გადასასვლელად ისინი ჩვენთვის მიუწვდომელ პორტალებს იყენებენ და ამიტომაცაა, რომ თითქოს მყისიერად ახერხებენ გაქრობას. მეტიც: ბევრის აზრით, ესაა რაღაც უცნობი ცივილიზაცია, რომელიც ჩვენს პარალელურად, სხვა სამყაროში არსებობს...**

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

◉ კაკალ გულში

ნახეთ „ღლონტთა გვარამი“...

● ძალიან ეშმაკურად იქცევიან ეს ნაციონალები. წამოწევენ ნამდვილად აქტუალურ თემას და საზოგადოებაში მაშინვე ჩნდება ანტიგანწყობა. შემდეგ „ნანუკას“ და „მაიკოს“ შოუებში „საზოგადოების წარმომადგენლები“ გამოდიან მხარდასაჭერად და... მოსახლეობის განწყობა იმ მართლაც და საჭირბოროტო თემის მიმართ უკვე აგრესიაში გადადის.

ამაზე „უკეთეს სვლას“ კარპოვიც ვერ მოიფიქრებდა!

არადა იმის ძახილი, რომ ხელისუფლება არ ერევა დემოკრატიის პრინციპების დაცვის გამო, ნიშნავს ან „სირაქლემას პოზიციას“, ან იმას, რომ ხელისუფლებასაც არ სურს პრობლემის გადაწყვეტა.

● ბათუმის პორტში NATO-ს ოთხი ხომალდი შემოსულა – არადა, საქართველოს ერთი ადმირალიც არა ჰყავს მასპინძლად.

მე რომ ხელისუფლებისა ვიყო (მაინც გენერალ ირინა იმერლიშვილს წააგავს), – ბაია (ეთერ) გადაბაძეს მივანიჭებდი კონტრ-ადმირალის წოდებას და საქართველოს საზღვაო ძალების უფროსად დავნიშნავდი...

● ნახეთ ყოველდღე, მაესტროსა და ბოროტინო ორის ეთერში, ქუზეი ღლონტი და გუნეი გვარამი, ახალ თურქულ-ქართულ სერიალში „ღლონტთა გვარამი“.

● წელს ირანიდან სულ მცირე, 100 000 ტურისტის ჩამოყვანას ვგეგმავთო“

ისე, აღა-მაჰმად-ხანის დროს, სულ რაღაც 35 ათასი ტურისტი შემოესია თბილისს.პროგრესი სახეზეა!!!

● პრობლემა „რუსთავი-2“-ის გვარამია, გაბუნია, კვესიტაძე და მათი მოაზროვნეები კი არ არიან, არამედ ჩვენი საზოგადოების აზროვნებაა, მაგ არხს და დანარჩენ ნაციონალურად მოაზროვნე არხებს რეიტინგი რომ აქვთ. მე თუ დავაჭირე პულტს ხელი და დავამთავრე დიდი ხნის წინ ეგენი, მოქცეულიყო მთელი საქართველო ჩემნაირად და დამთავრებულები იქნებოდნენ დიდი ხნის წინათ...

● კეზერაშვილს რომ ეყიდა მაესტრო (10 მილიონ დოლარს იხდიდა) მეწილეები, გადაბაძის მეთაურობით, ამას დემოკრატიული პროცესის ნაწილად ჩათვლიდნენ და „რუსთავი-2“-ის ფილიალად გააფორმებდნენ... სულ ესაა მთელი ბალამუტი).

◉ ცინცხალი ანეკდოტები

– ექიმო, რატომ მაქვს ასეთი ცუდი ანალიზები?

– რამდენი გადაიხადეთ მათი აღებისთვის?

– თითოში ათი ლარი.

– ეჰ, ჩემო კარგო, კარგი ანალიზები ბევრად ძვირი ღირს.

* * *

ავტომრბოლელმა გოგოს თავისი სარბოლო მანქანით გასეირნება შესთავაზა.

ქალაქგარეთ, მოსახვევში, მან საჭე ვერ დაიმორჩილა, მანქანა ფერდობზე დაცურდა, რამდენჯერმე გადაბრუნდა, მაგრამ ბოლოს მშვიდობით დაეშვა ოთხივე საბურავი.

– ღმერთო ჩემო, რა საჭირო იყო ასეთი გართულება? – გაუკვირდა გოგოს, – არ შეიძლებოდა, რომ წყნარად შევსულიყავით ტყეში და გეთქვა, ბენზინი გათავდაო?

* * *

– მამაო, – ეუბნება პეტკა მღვდელს, – ჩემს ცოლთან ქორწინებამდე დღეში ოცდახუთჯერ მქონდა სექსი. ეს ცოდვაა?

– კი, შვილო ჩემო, მეტისმეტი ტრაბახი დიდი ცოდვაა.

* * *

– ამ შუაღამისას წამომახტუნე და ახლა არ შარდავ? მოშარდე, შენი! – ბურტყუნებს ტუალეტში შესული მიხო.

– მიხო, ვის ელაპარაკები მანდა? – ეკითხება ცოლი საძინებლიდან.

– დაიძინე მაქა, დაიძინე! შენ იგი არ გახსოვს.

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-37-87
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ იცავთ თქვენს უფლებებს!